პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოსდემის 38-ე წელი № 175 (10872) | პარასკევი, 26 ივლისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

კამის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისა და მისი სრული სიმძლავრით ამუშავებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, რომლებმაც უაღრესად გამოიჩინეს თავი მშენებლობაზე. სულ დაჯილდოებულია 644 კაცი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ელექტროხაზის ბრიგადირი ა. აბდულინი, ელექტროშემდუღებელი ვ. ა. ანდრეევი, ელექტრომონტიორთა ბრიგადირი ნ. პ. ანტიპოვა, კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი პ. ე. ბარიშნიკოვი, მშენებლობის პარტკომის მდივანი ლ. ა. ბუდრინი, მშენებლობის მთავარი ინჟინერი ა. ფ. ვასილიევი, მემონტაჟე ნ. დ. დიმიტრიევი, უბნის უფროსი ვ. ნ. ზაბერგი, მშენებლობის უფროსი ა. კ. იკომასოვი, ორთქლმავლის მემანქანე ნ. ი. კალინიჩევი, ექსკავატორის მემანქანე პ. ა. კლემენტიევი, საქალაქო კომიტეტის მდივანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პარტორგი მშენებლობაზე ბ. ვ. კონოპლევი, მემონტაჟე ლ. ი. კორნილოვი, ელექტრომონტიორთა ბრიგადირი ლ. პ. კრემენცევი, მებეტონეთა ბრიგადირი ნ. დ. მოჩალოვი, მეარმატურე ზ. მუხამედსადიკოვი, მშენებლობის ყოფილი უფროსი ი. ი. ნაიმუშინი, მიწისმწოვი მანქანის უფროსი ბაგერმაისტერი ა. პ. პასინკოვი, ზეინკალთა ბრიგადირი დ. ნ. პეტროვი, ელექტრომონტიორთა — ზემოცოცავთა ბრიგადირი ი. ს. პიმანოვი, ელექტროშემდუღებელი ა. ს. სოტნიჩენკო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. სტრუევი, მეარმატურეთა ბრიგადირი ვ. ნ. ტრინკე, მებეტონეთა ბრიგადირი ვ. ი. ფოტინი, უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი პ. მ. შჩერბაკოვი, შოფერი დ. ა. იაკუშევი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულთა შორის არიან ჰიდროელექტროსადგურის პროექტის მთავარი ინჟინერი ბ. კ. ალექსანდროვი, ავტომემანქანე ა. ფ. ამელინი, ბულდოზერისტი დ. ა. ანფეროვი, მჭედელი ფ. ფ. ვიჭარი, ბურღვის ოსტატი ნ. ს. გავრიკოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი კ. ი. გალანშინი, ჰიდროელექტროსადგურის დირექტორი მ. ვ. კოჩეტკოვი, ხურო ი. პ. ლაპუხოვი, ამწის მემანქანე მ. ს. მუხინა, კალატოზი ს. გ. პაკულინი, მეარმატურე რ. პ. პეტროვი, მშენებლობის მთავარი ინჟინრის მოადგილე რ. კ. რადეცკი, ტრაქტორისტი ი. იუსუპოვი, მუშათა ბრიგადირი ზ. ა. იაშინა და სხვები, სულ 72 მუშაკი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია 151, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 185, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 210 კაცი.

თვალსაჩინო საწარმოო მიღწევებისათვის მემონტაჟეთა ბრიგადირს ა. მ. ტიხაშკოვს და ექსკავატორის მემანქანეს ა. დ. ჩეპალდეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

გარეუბნის რაიონმა შეასრულა პურის დამზადების გეგმა

გარეუბნის რაიონმა 20 ივლისისათვის 116,2 პროცენტით შეასრულა პურის დამზადების გეგმა.

პურის დამზადება გრძელდება. (საქდესი).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

პატრიოტთა დაუვიწყარი შეხვედრა

24 ივლისს საღამოს პლეხანოვის სახელობის საზეიმოდ მორთულ კლუბში ასობით მშრომელმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ თბილისის ლენინის რაიონის საწარმო-დაწესებულებების, მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქის რუსთავის მშრომელთა წარმომადგენლები, შრომის ფრონტის მოწინავე ადამიანები, ნოვატორები.

რუსთავის მეტალურგების მოწოდებამ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ ლენინის რაიონის საწარმოებში, ისევე როგორც მთელ რესპუბლიკაში, ფართო გამოხმაურება და მხურვალე მხარდაჭერა პპოვა. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება რაიონის ყველა მუშა, ინჟინერ-ტექნიკოსი, მოსამსახურე. მათ სასახელო შედეგებსაც მიაღწიეს.

მუშათა შემოქმედებითი ინიციატივის ზრდის შედეგად თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის ექვსი თვის გეგმა 107,2 პროცენტით შეასრულა. ნაკისრი ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის, საორთქლმავლო დეპოს კოლექტივები.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორმა მეტალურგებმა სიტყვა საქმედ აქციეს. განვლილი ექვსი თვის განმავლობაში გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 2.900 ტონაზე მეტი მეტალურგიული კოქსი, 3.000 ტონა ფოლადი, 14.546 ტონა ნაგლინი. ტრესტ მეტალურგმშენის სამმართველომ რუსთავის მშრომელებს გადასცა 16.490 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს რუსთავის ცემენტის ქარხნის და სხვა საწარმოების კოლექტივებმაც.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის ბრძოლა გრძელდება. მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას, რეპუბლიკის ორი საბრწყინვალო ცენტრის მშრომელთა მეგობრობას მიეძღვნა აღნიშნული შეხვედრა, რომელიც გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. კ. გოგლიძემ.

ტრიბუნაზეა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მოწინავე ადამიანი, ცნობილი მეფოლადე ი. მეტრეველი.

— რუსთავის მეტალურგებს, — განაცხადა მან, — დიდ დახმარებას გვიწევენ თბილისის ლენინის რაიონის მშრომელები. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჩვენს ქარხანაში მომუშავე ჩარხების 70 პროცენტზე მეტი დამზადებულია კიროვის სახელობის ქარხანაში. პირობას გაძლევთ, რომ კიდევ უფრო თავდადებით ვიმუშავებთ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ვალდებულებას ვკისრულობ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის გეგმის გადამეტებით სამშობლოს მივცე 300 ტონა ფოლადი.

ამხ. მეტრეველმა ლენინის რაიონის მშრომელებს გადასცა ქარხანაში დამზადებული სამახსოვრო საჩუქარი.

პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ცნობილმა ნოვატორმა ხარატმა ი. ჭუმბურიძემ.

— სულით და გულით მივესალმები ჩვენს სახელოვან სტუმრებს, — ამბობს ის. — ლენინის რაიონის მშრომელებს ახარებთ თქვენი საწარმოო წარმატებები. საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებაში არც ჩვენ ჩამოვრჩებით!

შეხვედრის მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ აგრეთვე ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსი გ. მაკაბერიძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინერი ვ. მიტასოვი, თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის მოწინავე ზეინკალი ა. ლომიძე, ქალაქ რუსთავის ნოვატორი კალატოზი ა. წიკლაური და სხვ.

ლენინის რაიონის მშრომელთა სახელით რუსთავის მოწინავე ადამიანებს, საამქროებს წითელი ალმები გადასცა პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. კ. გოგლიძემ, ხოლო რუსთავის მშრომელთა სახელით ლენინის საწარმოთა მოწინავე ადამიანებს, საამქროებს ასევე ალმები გადასცა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ნონიკაშვილმა.

შეხვედრის მონაწილეებმა გადაწყვიტეს გაძლიერონ სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად. თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი ი. ჭუმბურიძემ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხარატი გ. სიხარულიძე, რომელმაც იქვე კმაყოფილებით მიიღო გამოწვევა. თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანემ გ. კასრაძემ შეჯიბრებაში გამოიწვია რუსთავის მექანიკური ქარხნის ზეინკალი ნ. კოშმანი, 28 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის მოწინავე მჭედელმა ვ. კორძაძემ — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მჭედელი დ. პურეკიძე.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ქალაქ რუსთავის და ლენინის რაიონის მოწინავე ადამიანები. ისინი ერთმანეთს იწვევდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მეკობრულმა შეხვედრამ ერთხელ კიდევ დაადასტურა მათი გადაწყვეტილება გმირული შრომით ასახელონ სამშობლო, საამაყო მაჩვენებლებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

თბილისის ლენინის რაიონის მშრომელებისა და რუსთავის მოწინავე ადამიანთა წარმადგენლების შეხვედრას სპეციალური ნომრები მიუძღვნეს რუსთავის საქალაქო გაზეთმა „სოციალისტურმა რუსთავმა“ და მეტალურგიული ქარხნის მრავალტირაჟიანმა გაზეთმა „მეტალურგმა“.

* * *

სურათზე: თბილისის ლენინის რაიონისა და ქალაქ რუსთავის მშრომელთა ერთი ჯგუფი პლეხანოვის სახელობის ბაღში.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ენგურის ქაღალდ-ცელულოზის კომბინატში

ზუგდიდი, 25 ივლისი. (საქდესი). ენგურის ქაღალდ-ცელულოზის კომბინატის კოლექტივი ენერგიულად შრომობს, რომ შეასრულოს საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება — წლიური გეგმა გაანაღდოს 20 დეკემბრისათვის. პროდუქციის გამოშვების გასული თვის გეგმა საწარმომ 102,7 პროცენტით შეასრულა. წარმატებით შესრულდა ცელულოზის, რეგულების გამოშვების გეგმები. ამასთან კომბინატის მუშებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი და მიაღწიეს 900 ათას მანეთამდე ეკონომიას.

კომბინატის ლაბორატორიაში განხორციელდა მერქნის სულფიტური წესით ხარშვის ცდები, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. დიდი სამუშაოები შესრულდა მეორადი იაფფასიანი ნედლეულის გამოყენებისათვის, რაც შესაძლებლობას იძლევა შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება.

ახალი ამოცანებია დასახული კომბინატის წინაშე მიმდინარე ხუთწლედში. 1960 წლის ბოლოსათვის აქ ქაღალდის წარმოება 50 პროცენტით გაიზრდება, ხოლო ცელულოზისა — 40 პროცენტით. ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია ხის მერქნის გადამამუშავებელი ახალი საამქროს აგება. ცელულოზის ხარშვის ნარჩენებიდან, რომლებიც ამჟამად არ არის გამოყენებული, გათვალისწინებულია ეთილის სპირტისა და საკვები საფუარის მისაღები საამქროების მოწყობა.

პიტნის დრაჟე და „ზღვის კენჭები“

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის საკონდიტრო ფაბრიკის კოლექტივმა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას გადიდებული საწარმოო ვალდებულებები იკისრა და ნაწილი ამ ვალდებულებებისა უკვე შეასრულა. მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა განაღდებულია ვადამდე, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 130 ათასი მანეთის საკონდიტრო ნაწარმი.

საოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ მეშაქარლამელებმა აითვისეს ახალი სახის კამფეტის — პიტნის დრაჟესა და „ზღვის კენჭების“ წარმოება. მომხმარებელთა საერთო მოწონება გამოიწვია „ზღვის კენჭებმა“. პიტნის დრაჟეს და „ზღვის კენჭებს“ ფაბრიკა უშვებს როგორც შეუფუთავად, ისე პატარა კოლოფებში შეფუთულს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ცეილონის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი გ. ჯ. მალალასეკერა

24 ივლისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ცეილონის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი გ. ჯ. მალალასეკერა მისი თხოვნით და საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე ფ. პ. დოლია. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა ამერიკელი ჯურისტების ჯგუფს

სსრ კავშირში მყოფმა ამერიკელი ტურისტების ჯგუფმა სთხოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს მიეღო ისინი სასაუბროდ. 24 ივლისს ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ეს ჯგუფი ამერიკელი ტურისტებისა 26 კაცის რაოდენობით, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი ჯერომ დევისი.

მეგობრული და გულახდილი საუბრის მსვლელობაში ნ. ს. ხრუშჩოვმა უპასუხა ბევრ კითხვაზე, რომლებიც აინტერესებდათ ამერიკელ ტურისტებს. (საკდესი).

ამოწინავე გამოცდილება—მასებს

ჰექტარზე 150 ცენტნერი ყურძნისათვის

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მევენახეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგია. იგი კოლმეურნეობის და კოლმეურნეთა შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. მთლიანი ფულადი შემოსავლის 80 პროცენტზე მეტს მევენახეობა იძლევა. გასულ წელს კოლმეურნეობამ 40 ჰექტარი მსხმოიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე 78,68 ცენტნერი ყურძენი მიიღო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65 ცენტნერისა. ამასთან ერთი ცენტნერი ყურძნის მოყვანა წინა წელთან შედარებით 0,21 შრომადღით იაფი დაჯდა.

ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, გასულ წელს 8,3 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე 127 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, გეგმა კი 80 ცენტნერს ითვალისწინებდა. თვითეული ცენტნერი ყურძნის მოყვანაზე წინა წელთან შედარებით 0,25 შრომადღით ნაკლები დაიხარჯა.

რით აღწევს ბრიგადა ამ წარმატებებს? უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ბრიგადაში შრომის ორგანიზაცია მოწესრიგდა, გაუმჯობესდა ვენახების მოვლა-დამუშავების აგროტექნიკა.

ყურძნის უხვი მოსავლის მოსაყვანად მთავარია ვენახებში მეჩხერიანობის ლიკვიდაცია. ვაზის გადაწვენით და გადარგვით მეჩხერიანობა მინიმუმამდე დავიყვანეთ. ვაზის დატვირთვის გადიდებისათვის ვენახის მთელი ფართობი შპალერზე გადავიყვანეთ. ვსხლავთ ადრე გაზაფხულზე მცენარეში წვენის მოძრაობის დაწყებამდე ორმხრივი შპალერის წესით, თვითეულ ვაზს 7 რქას და ოთხ ნეკს ვუტოვებთ და საერთო დატვირთვა 70-80 სანაყოფე კვირტს უდრის.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ნიადაგის დამუშავებას. ვაზის ფესვთა სისტემა ყოველთვის ფხვიერ ფენაში იმყოფება. შემოდგომაზე მწკრივებში ვაზის რიგებს ვბარავთ, ხოლო შემდეგ მწკრივებს შორის ნიადაგს ვხნავთ 20-25 სანტიმეტრ სიღრმეზე ვაზის ძირებზე მიწის მიყრით, ამავე დროს ვაზებს დანით ვაჭრით მყნობის ადგილზე განვითარებულ ფესვებს. გაზაფხულზე ნიადაგს 15-18 სანტიმეტრის სიღრმეზე ვხნავთ და მოხვნის შემდეგ ვატარებთ ძირების 10-12 სანტიმეტრის სიღრმეზე გამოთოხნას. ეს საგრძნობლად აუმჯობესებს ნიადაგში აერაციას და ხელს უწყობს სარველა ბალახების მოსპობას. ზაფხულში ნიადაგს სამჯერ ვთოხნით, ბორდოს ხსნარით პირველ წამლობას ყვავილობის დაწყებამდე ვამთავრებთ, ხოლო გოგირდის პირველ შეფრქვევას — ყვავილობის პერიოდში, რაც კარგ შედეგს გვაძლევს. დანარჩენ ღონისძიებებს ვახორციელებთ საჭიროების მიხედვით.

გ. ფულარიანი.

* * *

შემოდგომაზე მწკრივების გამობარვისა და მწკრივთა შორის ნიადაგის მოხვნის წინ სრულმოსავლიან ვენახებში ერთ ჰექტარზე შეგვაქვს 30 ტონა ნაკელი, აგრეთვე კალიუმიანი და ფოსფოროვანი სასუქების ნარევი 150 კილოგრამი, ამავე პერიოდში ვაწარმოებთ შტამბის გასუფთავებას და ნავთკირის ემულსიით გაბანას. ვაზის ყვავილობის დაწყებამდე პირველი კულტივაციის წინ ვენახის მთელ ფართობზე შეგვაქვს აზოტოვანი სასუქი ჰექტარზე 150 კილოგრამის რაოდენობით.

ყლორტების განვითარების პირველ ფაზაში ვაზის გასხვლა-გაფორმებაში კარგად დახელოვნებული კოლმეურნეების საშუალებით ვატარებთ ზედმეტი ყლორტების შეცლას, რაც აზომიერებს ვაზის დატვირთვას და ხელს უწყობს სასარგებლო ნაწილების განვითარებას.

ნამხრევების შეცლას ვატარებთ ორჯერ: პირველად ვაზის ყვავილობის დაწყებამდე და მეორედ ყვავილობის შემდეგ. ამით საგრძნობლად უმჯობესდება მტევნების კვება. წვერების წაწყვეტის სამუშაოს ვასრულებთ ცოლიკაურის ჯიშზე ყვავილობის დასაწყისში ორ-სამ დღეში. ეს ღონისძიება შესაბამისად ზრდის მოსავლიანობას. ივლისის პირველი რიცხვებიდან ვიწყებთ „ცის ბახსნას“, რაც აჩქარებს ყურძნის დამწიფებას და ხელს უწყობს მოსავლის ადრე აღებას.

ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლის თავის დროზე აღებას. ყურძნის კრეფას შერჩევით ვაწარმოებთ. მაღალხარისხოვანი ღვინის მიღების მიზნით ყურძენს ჯიშების მიხედვით ვკრეფთ და ვაბარებთ ღვინის ქარხანას.

გასულ წელს ყურძნის ჩაბარებით 1.265.136 მანეთი მივიღეთ, რაც ბევრად აღემატება წინა სამეურნეო წლის შემოსავალს.

წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის ჩაბმული ვართ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ბრიგადა ენერგიულად იბრძვის 8,3 ჰექტარი ვენახის ფართობის თვითეულ ჰექტარზე 150 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 75 ცენტნერისა. ჩვენ, მევენახეები, დადებულ პირობას გავანაღდებთ.

გ. ფულარიანი,

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი.

ჩვენ შეგვიძლია დავეწიოთ და კიდევაც დავეწევით ამერიკას

როგორ გავადიდეთ ადგილობრივი ჯიშის ძროხების წველადობა

ჩვენი კოლმეურნეობა წლების მანძილზე ვერ ასრულებდა წველადობის გეგმებს. ამის ძირითადი მიზეზი მტკიცე საკვები ბაზის უქონლობა იყო. უკანასკნელ ხანებში კოლმეურნეობის გამგეობამ სერიოზული ყურადღება მიაქცია სიმინდის ნათესი ფართობებისა და მოსავლიანობის ზრდას, რაც მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საფუძველი გახდა. დაიწყო გარდატეხა წველადობის ამაღლებაში. შარშან 85 საფურაჟე ძროხიდან თვითეულზე 977 კილოგრამი რძე მივიღეთ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 650-ისა.

ჩავებით რა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვალდებულება ვიკისრეთ წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღოთ 1.000 კილოგრამი რძე. ცალკეული მომვლელების პირობაა თვითეულ ძროხაზე 1.500 კილოგრამი რძის მიღება. ამ ვალდებულებას ისინი წარმატებით ასრულებენ. ხ. ქარდავამ, რომელიც 8 ძროხას უვლის, მიღებული ნამატი მთლიანად შეინარჩუნა. 6 თვეში მან თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 650 კილოგრამის ნაცვლად 830 კილოგრამი რძე მოწველა. უკეთესი მაჩვენებელი აქვს კ. ქაჯაიას. მან 8 საფურაჟე ძროხიდან თვითეულზე 922 კილოგრამი რძე მიიღო. ასევე მაღალ წველადობას მიაღწია ადგილობრივი ჯიშის პირუტყვიდან გ. ბერაიამ.

წელს განზრახული გვაქვს თვითეულ ძროხას დავუმზადოთ 5 ტონა სილოსი ნაცვლად შარშანდელი 3 ტონისა. ამ ამოცანას წარმატებით ვწყვეტთ. სასილოსედ დათესილი გვაქვს 55 ჰექტარი სიმინდი. საფურაჟედ გამოვყოფთ 35 ტონა სიმინდს. გადაჭარბებით შეავსრულებთ უხეში საკვების დამზადების გეგმებს. 50 ჰექტარზე შემოღებული გვაქვს ნაკვეთმორიგეობითი ძოვება. მეწველ ძროხებს სისტემატურად ეძლევათ სიმინდის მწვანე მასა.

მოვლისა და კვების გაუმჯობესებამ სასურველი შედეგი გამოიღო. 75 მეწველი ძროხიდან თვითეულზე 608 კილოგრამი რძე მივიღეთ, შარშან ამ დროს კი მარტო 512 კილოგრამი პროდუქცია გვქონდა მიღებული.

ჩვენი მეცხოველეები, რომლებიც ერთსულოვნად გამოეხმაურნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახულ ამოცანას — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ, ყველაფერს გააკეთებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

ვ. ხასია,
ხობის რაიონის სოფელ ხობის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერძეული საქონლის ფერმის გამგე.

დავძლიოთ ჩამორჩენა მეცხოველეობის განვითარებაში

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის ზრდის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს მტკიცე საკვები ბაზა. ამ მხრივ კარგი გამოცდილება აქვს წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას. აქ შარშან 92 საფურაჟე ძროხიდან თვითეულზე 886 კილოგრამი რძე მიიღეს, გეგმა კი 750 კილოგრამის მიღებას ითვალისწინებდა.

რით მიაღწიეს ორჯონიკიძელმა მეცხოველეებმა ასეთ შედეგებს? პირველ რიგში კოლმეურნეობამ დიდი ყურადღება მიაქცია მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. გასულ წელს აქ 260 ტონის ნაცვლად 345 ტონა უხეში საკვები დაამზადეს, 300 ტონა სილოსი ჩადეს, რაც გეგმას დიდად აღემატებოდა. განახორციელეს პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესება. 1956 წელს კოლმეურნეობამ შეიძინა 25 სული მაღალპროდუქტიული პირუტყვი, ოაგო კაპიტალური სადგომი 80 სული პირუტყვისათვის, ერთი სასილოსე კოშკი 70 ტონის ტევადობისა და საცხოვრებელი ბინა მომვლელებისათვის.

წელს 1 იანვრიდან 1 ივლისამდე აქ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 349 ლიტრი რძე მიიღეს, ანუ გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 72 ლიტრით მეტი.

წველადობის ექვსი თვის შედეგების მიხედვით რაიონში პირველი ადგილი უჭირავს სოფელ ნაკიფუს სტალინის სახელობის კოლმეურნეობას. 15 ივლისისათვის 102 საფურაჟე ძროხიდან საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 567 ლიტრი რძე. გეგმით კი წლის ბოლომდე უნდა მიიღონ 650 ლიტრი. მიწინავე მწველავები ენერგიულად იბრძვიან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. მწველავებს ო. ჭეჟიას და ა. ცირდავას თვითეულს მოსავლელად მიჩენილი ჰყავს 14 სული ძროხა. დღემდე საშუალოდ ერთზე 700 ლიტრი რძე მიიღეს და წლიური გეგმა უკვე შეასრულეს.

მაგრამ ასე როდი მუშაობს მეზობლად მდებარე შერონიას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ნ. კვარაცხელია, პარტორგანიზაციის მდივანი გ. კვარაცხელია). კოლმეურნეობამ შარშან წველადობის გეგმა მხოლოდ 50,2 პროცენტით შეასრულა და სახელმწიფოს 33.800 ლიტრი რძე დააკლო.

სახარბიელო მდგომარეობა არც წელს არის. ექვს თვეში 79 მეწველი ძროხიდან საშუალოდ ერთზე მიღებულია 277 ლიტრი რძე. ბერწიანობა წელსაც არის. საკვების დასამზადებლად კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას ნაბიჯი არ გადაუდგამს. კოლმეურნეობის კანტორის უკან მდებარე ორი სასილოსე კოშკი შეაკეთებელია, ძველი ნარჩენებიც არ არის ამოწმენდილი.

ობუჯის კოლმეურნეობა „კოლხიდა“ (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ნ. მებონია, პარტორგანიზაციის მდივანი ბ. მებონია) წლების განმავლობაში ჩამორჩენილია. გასული წელი მეცხოველეობაში კოლმეურნეობამ სამარცხვინოდ დაამთავრა. წველადობის გეგმა მხოლოდ 43 პროცენტით შეასრულა. როგორც შარშან, ისევე წელსაც არ სრულდება პირუტყვის სულადობის გეგმა. აკლიათ 12 ძროხა. წველადობაც დაბალია. 53 ძროხიდან საშუალოდ ერთზე 1 ივლისამდე მხოლოდ 262 ლიტრი რძეა მიღებული.

კოლმეურნეობაში პირუტყვის მოვლა-პატრონობისათვის არ ზრუნავენ. კაპიტალური სადგომი აქვთ, მაგრამ იატაკი არ დაუგიათ, არც ჭერია გაკეთებული. საკვებტრების მოწყობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. დიდია პირუტყვის ბერწიანობა. სილოსს დანიშნულებისამებრ ვერ იყენებენ. ჩვენ ვნახეთ ორი სასილოსე კოშკი, რომლებშიც 25 ტონა სილოსია გაფუჭებული.

კოლმეურნეობა წელსაც ცუდად ემზადება საკვების დამზადებისათვის.

მეცხოველეობა წლების განმავლობაში ჩამორჩენილი დარგია სოფელ საჩინოს ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. კვირკვია, პარტორგანიზაციის მდივანი ა. ჭანტურია). შარშან წველადობის გეგმა აქ 51 პროცენტით შეასრულეს. წელს გეგმით საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე (105 ძროხიდან) 700 ლიტრი რძე უნდა მიიღონ. 1 ივლისისათვის მოწველილია 289 ლიტრი. პირუტყვის საკვების დამზადება, სადგომებისა და სასილოსე კოშკების მშენებლობა ჯერ კიდევ არ დაუწყიათ.

შარშან ამ კოლმეურნეობაში ძროხების ბერწიანობა 35 პროცენტს უდრიდა, ამჟამად კი 50 პროცენტამდე გაიზარდა. 66 ხბოს ნაცვლად დღემდე კოლმეურნეობაში მიღებულია 28.

რაიონის 22 კოლმეურნეობიდან უხეში საკვების წინასწარი შემზადება, დაჭრა, ჩაორთქლვა მხოლოდ ერთ კოლმეურნეობაში ხდება. რაიონის მტს-ი ჯერ კიდევ ნაკლებად იბრძვის მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვისათვის.

წალენჯიხის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ვალია დაძლიონ ჩამორჩენა და მიაღწიონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრ გადიდებას.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მეტი ღორის ხორცისათვის

ლაგოდეხი. („კომუნისტის“ კორ.). დიდი ვალდებულებები აიღეს ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა, როცა კომუნისტურმა პარტიამ დღის წესრიგში დააყენა საპატიო ამოცანა — გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოებას მხრივ.

— გავასუქოთ და სახელმწიფოს ჩავაბაროთ სულ მცირე 3.500 სული ღორი, — ასეთი იყო ლაგოდეხელთა პასუხი წითელწყაროელ მეცხოველეთა ინიციატივაზე.

სოფელ ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმაში გასასუქებლად დაყენებულ 70 სული ღორი, რომლებსაც სანიმუშოდ უვლიან, ამ ცალცალკე ჰყავთ სახორცე და სანაშენო ღორები, რათა თვითეული ჯგუფის პირუტყვის მოვლა და კვება ზოოტექნიკური წესების მიხედვით წარმოებდეს.

ცოდნისკარელებმა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრა ვალდებულების — 10,2 ტონა ხორცის ანგარიშში უკვე ჩააბარეს მაღალი სიმსუქნის ორი ათასი კილოგრამი ღორის ხორცი.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად მეღორეობას განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“.

აქ ფერმაში, რომელსაც კომუნისტი გიორგი მარგველაშვილი ხელმძღვანელობს, 460 ღორი ჰყავთ. წელს გასასუქებლად დაყენებულ 320 სული ღორისაგან მიიღებენ სულ ცოტა 20 ტონა ხორცს.

წარმატებებს მიაღწია მეღორე ვ. ბალაბანოვმა, რომელიც ორმოც დედალორს უვლის და თვითეულზე მიიღო და გაზარდა 13 გოჭი. თავი ისახელა კომუნისტმა მ. ხაბეიშვილმა, რომელმაც წლის პირველ ნახევარში გაასუქა 71 ღორი, ხოლო ახლა გასასუქებლად დაყენებული ჰყავს 50.

მეღორეობის განვითარების საქმეში კარგად მუშაობენ აგრეთვე სოფელ ორჯონიკიძის რუსთაველის სახელობის, სოფელ სკობოდნოეს ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობებში.

რას გვაძლევს 1 ჰექტარი სასილოსე სიმინდის მაღალი მოსავალი რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში



პირუტყვის საადგომებისათვის არ ზრუნავენ

გასული სამეურნეო წელი მეცხოველეობაში ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობებმა ერთგვარი წარმატებით დაამთავრეს. გადაჭარბებით შესრულდა წველადობისა და სულადობის ზრდის წლიური გეგმა. მაგრამ ყველა რეზერვი მაინც არ იყო გამოყენებული. მთელ რიგ კოლმეურნეობებში უხეშად ირღვეოდა პირუტყვის მოვლა-პატრონობის ზოოვეტერინარული წესები.

ამ მწარე გაკვეთილიდან რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს სათანადო დასკვნა, წელსაც არ გაუკეთებიათ. ახლა უფრო ცუდი მდგომარეობაა. ვასუელი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა წველადობა.

ჩამორჩენის მიზეზები საკმაოდ ბევრია. მაგრამ მათ შორის მთავარია უყურადღებობა პირუტყვის საადგომის მშენებლობისადმი. ეს საქმე თითქმის მივიწყებულია.

კოლმეურნეობების უმრავლესობას პროდუქტიული პირუტყვი მოთავსებული ჰყავს პრიმიტიულ, ნახევრადდანგრეულ ბანებში. აქ შეუძლებელია ზოოტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელება. მთელი რიგი წლების მანძილზე კოლმეურნეობება თავს არიდებენ პირუტყვის საადგომების მშენებლობის დაწყებას.

სოფელ დეისის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. კიკნაძე) ხუთ წელზე მეტია მიმდინარეობს სტანდარტული საადგომის მშენებლობა, დახარჯულია 42.932 მანეთი ფულად და 1.300 შრომადღე. გასულ წელს ამ კოლმეურნეობამ შეიძინა 50 კუბმეტრი ხის მასალა, მაგრამ მუშაობა დღემდე არ დაუწყიათ. შენობის კედლები დაბზარა, დანგრევის პირზეა მისული. ამაში ბრალი კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს მიუძღვის.

პირუტყვის საადგომების მშენებლობაში ცუდი მდგომარეობაა აგრეთვე ზვარის, სარგვეშის, ღორეშის და საღანძილის კოლმეურნეობებში, სადაც 1955 წელს დაწყებული ნაგებობანი დღემდე გადაუხურავია.

წელს კოლმეურნეობებმა მეცხოველეობის პროდუქტიულობის დარგში გადადებული ვალდებულებები იკისრეს. მათს ბირობაში ნათქვამია, რომ ააგებენ ახალ ბინებს 260 სული პირუტყვისათვის და 2.900 ტონის ტევადობის სასილოსე კოშკებს. ეს ყველაფერი ქაღალდზე დარჩა. მუშაობას დღემდე არ შესდგომიან. ამის მიზეზი ისაც არის, რომ კოლმეურნეობებში ან გამოყოფილი არა ჰყავთ სამშენებლო ბრიგადები ან დანიშნულებისამებრ არ იყენებენ მათ.

ბაზალეთის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ლ. დეკანოსიძე) სამშენებლო ბრიგადაში ათი კოლმეურნეა. მაგრამ მათი შრომადღეების ალრიცხვის უწყისებს თუ გადახედავთ, ნათელი გახდება, რომ მათ მშენებლობაზე წელს სულ არ უმუშაავნიათ.

რაიონში საკოლმეურნეო ნაგებობათა მშენებლობას ყველაზე მეტად ის უშლის ხელს, რომ რაიკომბაკავშირი (თავმჯდომარე დ. კიკნაძე) საშენი მასალების შემოზიდვას ვერ უზრუნველყოფს. ამის გამო კოლმეურნეობებში წლების მანძილზე ჭიანურდება მშენებლობა, ხოლო ზოგან დაწყებული ნაგებობა დამთავრებამდე ანგრევა ან კაპიტალურად შესაკეთებელი ხდება.

ეს საკითხი მეტად მტკივნეულია. პარტიის რაიკომის ბიურო და რაისაბჭოს აღმასკომი განიხილავენ ცალკეულ კოლმეურნეობებში პირუტყვის ბინების და სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის მიმდინარეობას, მაგრამ შემდეგ „ივიწყებენ მიღებულ დადგენილებათა შესრულებას, და საქმე ადგილიდან არ აძვრის.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს მოვალეობაა მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, რათა უახლოეს დროში დაძლიონ ჩამორჩენა.

ო. ნიჟარაძე,
რაიონული გაზეთის „ლენინის დროშით“ რედაქციის მდივანი,
გ. ხუსკივაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ორი კოლმეურნეობის შეჯიბრება

ასპინძა. (საკ. კორ.). ამას წინათ ახალციხის რაიონის სოფელ ქვემო სხვილისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ასპინძის რაიონის სოფელ ოშორის ვ. სტურუას სახელობის კოლმეურნეობის წევრებს მიმართეს მოწოდებით გაეჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდებისათვის.

ოშორელი მეცხოველეები მოწონებით შეხვდნენ ქვემო სხვილისელთა წინადადებას და თავიანთ მხრივ იკისრეს ახალი ვალდებულებები: წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ 1.500 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.050 კილოგრამისა; ყოველ 100 ჰექტარ მიწიან სავარგულებზე — 105 ცენტნერი რძე, 35 ცენტნერი ხორცი, 1 ოქტომბრამდე სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბარონ 100 ცენტნერი რძე; პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით თვითეულ საფურაჟე ძროხაზე დაამზადონ სულ მცირე 5 ტონა სილოსი, თვითეულ ჰექტარ სასილოსე ნთესზე მიიღონ 150 ცენტნერი მწვანე მასა და 30 ცენტნერი სიმინდის ტარო.

ეროვნული თვითღირებულებაზე 2.100 კილოგრამ რძეს მივილებთ

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, რომლის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის ხალხები წარმატებით მიდიან წინ კომუნიზმისაკენ, დასახა დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ამ ამოცანის გადაწყვეტაში დიდი წვლილი უნდა შეიტანონ მეცხოველეებმა.

როგორც კი ცხოვრების დამოუკიდებელ გზას დავადექი, გადავწყვიტე მემუშავნა მეცხოველეობაში.

მოსავლელად მომაგრებული მყავს 9 ძროხა და მათი ნამატი. შარშან საშუალოდ ერთ ძროხაზე მივიღე 2.000 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.900 კილოგრამისა.

ზუსტად ვიცავ პირუტყვის მოვლისა და კვების წესებს. ჯერ კიდევ პირუტყვის სიმშრალის პერიოდში ვცდილობ ყოველმხრივ მოვემზადო ძროხების დახბოიანებისათვის. წველას ვწყვეტ მოგებამდე ორი თვით ადრე. წველის შეწყვეტამდე ათი დღით ადრე რაციონიდან ვთიშავ სილოსსა და ძირხვენებს, ხოლო ხუთი დღით ადრე — კონცენტრატებს. ზაფხულში ძროხების გაშრობისას პირუტყვს არ ვაძლევ მწვანე საკვებს, რადგანაც ჩემი დაკვირვებით იგი დედაპირუტყვის ორგანიზმზე უარყოფითად მოქმედებს.

დიდ ყურადღებას ვაქცევ პირუტყვის ხასიათს, ამა თუ იმ საკვებისადმი მის მიდრეკილებას. ძროხას, რომელიც დღეში 20 კილოგრამ რძეს იძლევა, საკვებად ვაძლევ 14 კილოგრამ კონცენტრატს და ყუათიანობით მასთან ახლო მდგომ საკვებს. საერთოდ თვითეული ძროხის სადღეღამისო რაციონში შედის 5 კილოგრამი თივა, 6-8 კილოგრამი სიმინდის ჩალა, 15 კილოგრამამდე საკვები ჭარხალი, ხაზამორო, გოგრა, რომლებიც ჩვენს კოლმეურნეობაში უხვად მოჰყავთ. უნდა ითქვას, რომ წვნიანი საკვების დიდი რაოდენობით მოყვანამ ჩვენს კოლმეურნეობას კარგი შედეგი მოუტანა მეცხოველეობაში. მაგალითად, თუ 1955 წლის სექტემბრამდე დიდ საქმედ მიგვაჩნდა თვითეულ ძროხაზე წელიწადში 300-400 კილოგრამი რძის მიღება, ამჟამად 800-900 კილოგრამი წარმატებად არ მიგვაჩნია.

მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებას ჩვენთან წელსაც დიდი ყურადღება მიექცევა. ჩავდებთ 300 ტონამდე სილოსს.

მომდინარე სამეურნეო წლის ექვს თვეში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე უკვე მივიღეთ 1.040 კილოგრამი რძე. მე ვალდებულება ავიღე წლის ბოლომდე ყოველ ძროხაზე მივიღო 2.100 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.900 კილოგრამისა.

მ. ბელქანია,
ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი.

პარტიული ორგანიზაცია და ბრძოლა საკვების დამზადებისათვის

პარტიული ცხოვრება

ახლა სოფლად მუშაობის ცხარე დღეებია. გათენებიდან დაღამებამდე გრძელდება შემოქმედებითი შრომა პურის ყანებში, სიმინდის ნათესებსა და ბაღ-ვენახებში. საერთო შრომის ფერხულში ჩაბმულია ბოლნისის რაიონის სოფელ კაზრეთის კოლმეურნეობა „ოქტომბრის“. საკვებმოპოვების ბრიგადაც. უზრუნველყოს პირუტყვი ზამთრისათვის საჭირო საკვებით — ეს არის ამჟამად ბრიგადის საბრძოლო ამოცანა.

საკვებმოპოვების ბრიგადა (ხელმძღვანელი ბ. ათაბეგოვი) კოლმეურნეობაში ოთხი წელია რაც შეიქმნა. ბრიგადის შემადგენლობა, რომელშიც 23 კაცი ირიცხება, მუდმივია და ადგილი არა აქვს კოლმეურნეთა დენადობას. მას მოსავლელად მიჩენილი აქვს სათიბ-საძოვრები, რომელთა გაუმჯობესების ღონისძიებებს იგი განუხრელად და თანმიმდევრულად ახორციელებს. ბრიგადის განკარგულებაში გამოყოფილია სამი ურემი და 12 მუშა-პირუტყვი, ერთი ცხენი და ფორანი. ამას გარდა, თიბვის პერიოდში გამოყოფილი აქვთ ერთი ავტომანქანა; კოლმეურნეობის გამგეობა საჭიროების მიხედვით ხშირად დამატებით გამოყოფს ხოლმე აგრეთვე მუშახელსა და საწარმოო საშუალებებს.

ბრიგადას წელს სასილოსედ დათესილი აქვს 50 ჰექტარი სიმინდი. გარდა ამისა, ბალახისა და სხვა საკვები კულტურების ნათესი ფართობი 66 ჰექტარს აღწევს.

დამახასიათებელია, რომ საკვებმოპოვების ბრიგადა საკვების დაგროვებისათვის ბრძოლას აჩაღებს არა ბალახის თიბვის და სილოსის ჩადების დროს, არამედ შემოდგომიდანვე. ამ დროს ბრიგადა მზრალად ხნავს მიწას და იმარაგებს საჭირო თესლს საკვებ კულტურათა საგაზაფხულო თესვისათვის, ხოლო გაზაფხულზე თანმიმდევრულად ატარებს ნათესების მოვლის სამუშაოებს, აგრეთვე ბუნებრივი სათიბ-საძოვრების გაუმჯობესების ღონისძიებებს.

კოლმეურნეობის გამგეობა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია, კომუნისტები წინათაც ეწეოდნენ ბრძოლას მეცხოველეობის ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. მაგრამ უნდა ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის წამოსაწევად ნამდვილი მუშაობა კაზრეთელმა კომუნისტებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ გაარაღეს.

მეცხოველეობის ჩამორჩენის გამოსასწორებლად საჭირო იყო ორი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტა: საკვები ბაზის გადიდება და პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება. სწორედ მეცხოველეობის ამ გადამწყვეტ უბნებზე გაანაწილა პარტიულმა ორგანიზაციამ კადრები, კომუნისტები. პირველ რიგში კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად საკვებმოპოვების ბრიგადის შექმნით ბოლო მოუღეს გაუპიროვნებას საკვების წარმოების დარგში, გაზარდეს ამ საქმისადმი პასუხისმგებლობა, შეამცირეს საკვებ კულტურათა ნათესების დამუშავებისა და საკვების დაგროვების ვადები. ბრიგადაში ახლა მუშაობენ კომუნისტები ლ. ბასილაშვილი, ფ. კაფიგრანოვი, ვ. ბასილაშვილი, დ. დემურაშვილი და სხვები.

წინათ კოლმეურნეობის საზაფხულო საძოვრებზე იშვიათად მზადდებოდა თივა. საძოვრებს მხოლოდ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის იყენებდნენ, არ წარმოებდა პირუტყვის მორიგეობითი ძოვება. ეს იწვევდა თივის ფოსავლის დანაკარგებს. საკვებმოპოვების ბრიგადის შექმნის შედეგად აღინიშნული ხაკი სწრაფად გამოსწორდა. ახლა საკვებმოპოვების ბრიგადის წევრები ადრე დასასილოსებლად ფართოდ იყენებენ გარეულ ბალახებს. კოლმეურნეები ი. დემურაშვილი, დ. სავშიშვილი, სერგო, გიორგი, თამარ და სალომე კაფიგრანოვები, პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. ათაბეგოვი ბალახებიდან გვიან სალამომდე ბეჯითად მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებში. ისინი გარეული ბალახის თიბვის დღიურ ნორმას 150-200 პროცენტით ასრულებენ. თივის გადატანაზე მონდომებით მუშაობენ მანქანის მძღოლი კომუნისტი გ. კაფიგრანოვი, მეურმე ვ. ათაბეგოვი, მანქანის მძღოლი შ. დემურაშვილი.

კოლმეურნეობამ რაიონში ყველაზე ადრე სასილოსედ უკვე ჩადო 100 ტონამდე გარეული ბალახი. შარშან კოლმეურნეობამ დაამზადა მხოლოდ 150 ტონა სილოსი. წელს კი 600 ტონა სილოსის დამზადებას ვარაუდობენ.

საკვებმოპოვების ბრიგადის ერთერთმა წევრმა, კომუნისტმა ვ. ბასილაშვილმა წელს კარგი ინიციატივა გამოიჩინა. ამ დღეებში, როცა პარტიული ორგანიზაციის ღია კრებაზე განხილავდნენ საკითხს პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის შესახებ, მან წინადადება შემოიტანა, რომ მოეწყოს კოლმეურნეობის ბაღ-ვენახების ნაპირებზე ბუნებრივი თივის გათიბვა. ამხ. ბასილაშვილის წინადადებას კომუნისტებმა მხარი დაუჭირეს. პარტორგანიზაციამ კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად შეისწავლა ეს საკითხი. გამოირკვა, რომ ყანებისა და ბაღ-ვენახების ნაპირებზე თივის აუღებლობის შედეგად ყოველწლიურად ასობით ცენტნერი საკვები იკარგებოდა. ამიტომ საკვებმოპოვების ბრიგადას დაევალა გაეთიბა ბალახი ყანებისა და ბაღ-ვენახების ნაპირებზე. ამ საქმეში ბრიგადას აქტიური დახმარება გაუწიეს კომკავშირელებმა ო. ბასილაშვილმა, მ. ლეკიშვილმა, ვ. ბასილაშვილმა, ვ. დემუროვმა, ა. ათაბეგოვმა და ახალგაზრდებმა ვ. გვარამაძემ და ბ. კაფიგრანოვმა. შედეგები საამაყოა. კომკავშირელთა და ახალგაზრდობის დახმარებით წელს კოლმეურნეობას 50 ტონამდე ბუნებრივი თივა შეემატა.

საკვებმოპოვების ბრიგადის წევრებს არც ნამჯის დამზადების სამუშაოები გამორჩენიათ მხედველობიდან. წინათ ნამჯას მხოლოდ პურეულის აღების დამთავრების შემდეგ აგროვებდნენ. ეს ნამჯის დიდ დანაკარგებს იწვევდა. წელს კი ნამჯის აღებას, მოგროვებასა და დაზვინვას მკის დაწყებიდანვე შეუდგნენ. კოლმეურნეობის გამგეობამ ამ სამუშაოს დროულად შესასრულებლად ბრიგადას დამატებითი მუშახელი გამოუყო. ასეთი მუშაობის შედეგად უკვე მოგროვილია ნამჯა 383 ჰექტარზე. ამჟამად კოლმეურნეები ლ. ლეკიშვილი, ი. კაფიგრანოვი და სხვები მოგროვებულ ნამჯას სწრაფი ტემპით ზვინავენ.

კოლმეურნეობაში მზადა აქვთ 600 ტონის ტევადობის სასილოსე ნაგებობანი. ამჟამად ემზადებიან მიწისზედა დასილოსებისათვის, რაც მნიშვნელოვნად გააადვილებს და დააჩქარებს სილოსის ჩადების გეგმის შესრულებას.

საკვებმოპოვების ბრიგადის წარმატებას ისიც უწყობს ხელს, რომ პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კოლმეურნეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას. საკვებმოპოვების ბრიგადაში აგიტატორად გამოყოფილია მასწავლებელი თინა ლებანიძე. მას ხშირად ნახავთ მინდვრად, იქ, სადაც წყდება მტკიცე საკვები ბაზის შექმნის ბედი. შესვენების დროს იგი კოლმეურნეებს მოუთხრობს საერთაშორისო ვითარებასა და ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობაზე, მეცხოველეობის განვითარების საქმეში პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებზე, უშვებს საველე გაზეთს და სხვ. აქვე ხშირად ნახავთ კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსს ნელი ხარშილაძეს, რომელიც მთიბავებს ესაუბრება მეცხოველეობის განვითარების ცალკეულ საკითხებზე, კერძოდ, საკვების წარმოების გადიდების ღონისძიებებზე.

წელს კოლმეურნეობაში გათვალისწინებული აქვთ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე დაამზადონ 15 ტონა სილოსი და ამით მიაღწიონ ხორცის, რძის, კარაქისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებას; 1957 წელს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღონ 47 ცენტნერი ხორცი, აქედან 40 ცენტნერი ღორის ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე, 100 ცენტნერი რძე ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

გაჩაღებულია ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამაზე უკვე მეტყველებენ პირველი წარმატებანი. მიმდინარე წლის 6 თვეში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 705 ლიტრი რძე, რაც გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 300 ლიტრით მეტია.

* * *

რაიონში ფართოდ ინერგება სოფელ კაზრეთის კოლმეურნეობის საკვებმოპოვების ბრიგადის მუშაობის გამოცდილება. კოლმეურნეობები და მტსები იყენებენ წარმოების დიდ რეზერვებს, ქმნიან საკვების მტკიცე ბაზას, აუმჯობესებენ სათიბების მოვლა-შენახვას. რაიონში მარტო ყანებისა და ბაღ-ვენახების ნაპირებზე გათიბავენ 1.500 ტონამდე ბუნებრივ ბალახს.

ბოლნისის რაიონში წველადობის მატებამ საშუალოდ ერთ ძროხაზე გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 121 კილოგრამი შეადგინა.

— ჩვენი რაიონის, — განაცხადა საუბარში პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. შ. ქუტელიძემ, — ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი კომუნისტური პარტიის მიერ დასახულ ამოცანას — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, კარაქისა დ რძის წარმოების მხრივ. დადაწყვეტილი გვაქვს ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მივიღოთ მეცხოველეობის რაც შეიძლება მეტი პროდუქტები.

ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელია ისე, თუ საკვები ბაზა არ განვამტკიცეთ. ჩვენი რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში შექმნილია საკვებმოპოვების ბრიგადები, რაც დიდად უწყობს ხელს მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. რაიონის მშრომელებმა, ჩაებნენ რა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვალდებულება აიღეს დაამზადონ 30 ათასი ტონა სილოსი ნაცვლად შარშან დამზადებული 11 ათასისა. ნაწვერალზე სიმინდი უკვე დაითესა 300 ჰექტარი და ამით წლიური გეგმა მთლიანად შესრულებულ იქნა. გეგმის გადამეტებით ნაწვერალზე სიმინდი დაითესება 500 ჰექტარი, ხოლო ბუნებრივი ბალახი სასილოსედ ჩადებულ იქნება 3 ათასი ტონა. უკვე მზად არის 30 ათასი ტონის ტევადობის სასილოსე ნაგებობანი.

რაიონმა წარმატებით შეასრულა სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების

მეტი ზრუნვა ტყეებისა და მწვანე ნარგავებისათვის

სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ მესამე ყრილობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ მესამე ყრილობა.

ყრილობაზე ჩამოვიდა 300 დელეგატი — მუშები, კოლმეურნეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეები.

ყრილობა გახსნა სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. დ. ჩუბინიძემ.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კ. ს. ციმაკურიძემ.

— მეორე ყრილობის შემდეგ განვლილ 6 წელიწადში, — თქვა მომხსენებელმა, — სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითმა საზოგადოებამ „ტყის მეგობარმა“ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ახალი ტყეების გასაშენებლად და მათ დასაცავად, ქალაქების, სამრეწველო ცენტრებისა და სოფელ ადგილების მწვანე ფონდის გასაფართოებლად. საზოგადოება გახდა მასობრივი ორგანიზაცია. იგი აქტიურად უწყობს ხელს ჩვენი ქალაქებისა და სოფლების ბუნების გარდაქმნის, კეთილმოწყობისათვის მუშაობას, რომელიც ფართოდ წარმოებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მითითებით. საზოგადოებაში ახლა 9.596 პირველადი ორგანიზაციაა, რომლებიც გაერთიანებულია 1.240 ათასზე მეტი წევრი.

საზოგადოების ინიციატივით საქართველოში ყოველწლიურად ეწყობა „ტყის დღე“, რომელიც ხეების მასობრივი რგვის, მშობლიური ქალაქებისა და სოფლების გამწვანებაში მშრომელთა ფართო მონაწილეობის ტრადიციული დღე გახდა. საზოგადოების დაარსების შემდეგ გასულ 10 წელიწადში რესპუბლიკაში „ტყის დღეს“ დარგულია რამდენიმე ათეული მილიონი ხე, გამწვანებულია ბევრი საწარმოს, მტსის, საბჭოთა მეურნეობის, სკოლის ტერიტორია, შეიქმნა ახალი ბაღები, სკვერები, დაირგო ხეები ასეულ კილომეტრობით გზატკეცილის ორივე მხარეზე, სარწყავი არხების ნაპირებზე. მარტო საანგარიშო პერიოდის მანძილზე რესპუბლიკაში დაირგო 25 მილიონზე მეტი ძირი ხე და ბუჩქი, აქედან 40 პროცენტი ხეხილი. შესრულებულია დიდი მოცულობის სამშობლოში თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ტყიბულის, ტყვარჩელის, ქობულეთისა და სხვა ქალაქების გასამწვანებლად. აყვავებულ ბაღებად იქცა თბილისის კიროვის სახელობის ტრიბუნების ქარხნის, შამპანური ღვინოების კომბინატის, ჩაისსაწონი ფაბრიკის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის და მთელ რიგ სხვა საწარმოთა ტერიტორიები.

მაგრამ, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საზოგადოება „ტყის მეგობრის“ მთელ რიგ საქალაქო, რაიონულ და პირველადს ორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა არ მიუღიათ მწვანე მშენებლობაში, ტყეების დაცვასა და ნარგავთა ფართობის გადიდებაში. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ ხაშურის, ზესტაფონის, მაიაკოვსკისა და მთელ რიგ სხვა რაიონებს.

უნდა უზრუნველვყოთ ტყის, ახალი ნარგავებისათვის ზრუნვა და მათი მოვლა. გამწვანების დარგში გაწეული დიდი მუშაობა მხოლოდ ამ პირობით მოგვცემს მოსალოდნელ შედეგს. მაგრამ ეს ხშირად ავიწყდებათ და ცუდი მოვლის შედეგად ათასობით ნარგავი იღუპება. ასე მოუვიდა ხობი-ზუგდიდის, ქუთაის-ზესტაფონის, მცხეთა-იგოეთის გზების გაყოლებით დარგულ ხეებს, ხოლო ხაშურ-ქვიშხეთის გზატკეცილზე გახმა ასობით 5-6 წლის კაკლის ხე. ჯერ კიდევ მცირეა ნერგების გახარების პროცენტი.

ყრილობამ მოისმინა სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ საბჭოს სარევიზიო კომისიის მუშაობის ანგარიში. საანგარიშო მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიის წევრმა ვ. მათიკაშვილმა.

მოხსენებების გარშემო გაიმართა კამათი.

ყრილობის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის გამწვანების მეურნეობის ტრესტის მთავარი აგრონომის ი. ხმალაძის გამოსვლა. მან ილაპარაკა, თუ როგორ მიმდინარეობს გამწვანება რესპუბლიკის დედაქალაქში.

უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე თბილისში შეიქმნა მთელი რიგი სკვერები, ვაკეში ვრცელ მოედანზე გაშენდა კულტურისა და დასვენების პარკი, გაფართოვდა ბაღები. ამჟამად ქალაქის მწვანე ნარგავთა ფართობი 3.100 ჰექტარს აღწევს. მიმდინარეობს თბილისის ზღვის ნაპირების, ქალაქის მიდამოების გამწვანება. საზოგადოება „ტყის მეგობრის“ აქტივისტებმა გადაწყვიტეს ქალაქის თვითეულ რაიონში შექმნან კულტურისა და დასვენების პარკი.

ტყეების დაცვისა და ახალი ტყის გაშენების უდიდეს სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობაზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტყის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ვ. გულისაშვილმა. ამ საქმეს, აღნიშნა მან, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ვ. ი. ლენინი. 1918 წლის მაისში ვლადიმერ ილიას-ძემ ხელი მოაწერა სპეციალურ დეკრეტს ტყეების შესახებ. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე რესპუბლიკაში გაწეულია სერიოზული მუშაობა ტყეების დაცვისა და გაშენების დარგში.

— ჩვენი სკოლის მთელი კოლექტივი, — თქვა ყრილობის დელეგატმა, თბილისის რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელმა მ. ცალქალამანიძემ, — საზოგადოება „ტყის მეგობრის“ წევრია. პედაგოგები მოსწავლეებს უნერგავენ ბუნების, მწვანე ნარგავების სიყვარულს. პედაგოგებმა და მოსწავლეებმა შექმნეს სანერგე, სადაც გამოჰყავთ სხვადასხვა ხეხილი, და საკენკრე, სკოლის ტერიტორიაზე დარგულია ასობით ძირი ხეხილი, ყვავილები.

აჭარის ასსრ ქალაქების ბათუმის, ქობულეთის, საკურორტო ზონისა და მთის რაიონების გასამწვანებლად გაწეულ მუშაობაზე ილაპარაკა აჭარის სახელმწიფო კომიტეტის „ტყის მეგობრის“ საბჭოს თავმჯდომარემ რ. კომახიძემ. უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე მწვანე ნარგავთა ფართობი ბათუმში ერთისამად გადიდდა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქობულეთის მწვანე ფონდი. ათასობით იშვიათი დეკორაციული სუბტროპიკული ხე დაირგო მთელი რიგი სასოფლო საბჭოების ტერიტორიების წინათ გამოუყენებელ მიწებზე.

აკადემიკოსი ნ. კეცხოველი დაწვრილებით შეეხო მთის კალთების გატყევების, ტყე-პარკებისა და ტყე-ბაღების შექმნის საკითხებს.

საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის მდივანმა ა. ავაზაშვილმა ილაპარაკა, თუ რა მუშაობა მიმდინარეობს რაიონის სოფლებში ხეების დასარგავად. ყვარელ-გურჯაანის გზატკეცილზე 8 კილომეტრზე კაკლის ხეივანი გაშენდა. რაიონის კოლმეურნეობებმა გააშენეს ტყეები, რომელთა საერთო ფართობი 800 ჰექტარია.

— მომდინარე წელს „ტყის დღეს“ აფხაზეთში, — თქვა დელეგატმა ბ. სემონოვსკიმ,—დაირგო 540 ათასზე მეტი ხე. გაფართოვდა გულრიფშის, გაგრის, გუდაუთის, სოხუმის რაიონებში საკურორტო ზონების მწვანე ფონდი.

სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ჰ. ჩხობაძემ ყრილობის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები შეიქმნას ყველა საწარმოში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მტს-ში.

საზოგადოება „ტყის მეგობრის“ როლის შესახებ ნაკრძალებში ფლორისა და ფაუნის დაცვაში ილაპარაკა ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორმა კ. მამისაშვილმა.

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი ნ. ფევზაძე შეეხო საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელობის საკითხებს.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

მან აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტყეს, მწვანე ნარგავებს, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ერთერთი შესანიშნავი ბუნებრივი სიმდიდრეა. ტყის დასაცავად, ქალაქების, სამრეწველო ცენტრებისა და სოფელ ადგილების გასამწვანებლად მუშაობა იმ ღონისძიებათა განუყოფელი ნაწილი გახდა, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ მშრომელთა საკეთილდღეოდ, მათი ყოფაცხოვრების გასუმჯობესებლად. ამხ. მჟავანაძემ ილაპარაკა ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ ორგანიზაციების ამოცანებზე. საჭიროა ყოველმხრივ გააქტიურდეს საზოგადოების საქმიანობა, ყოველდღიურად და ფართოდ წარმოებდეს მისი მიზნებისა და ამოცანების პროპაგანდა, ჩამულ იქნენ საზოგადოების რიგებში ახალი აქტიური წევრები. ამ მხრივ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ პრესას, რადიოს.

ზრუნვა ტყისა და მწვანე ნარგავების ფართობის გადიდებისათვის, მათი დაცვა მთელი საზოგადოებრიობის საქმე უნდა იყოს. გამწვანება უნდა ხდებოდეს არა კამპანიურად, არამედ ყოველდღიურად. ამისათვის გამოყენებულ უნდა იქნას ჩვენში არსებული დიდი შესაძლებლობანი. კერძოდ, უფრო ფართოდ უნდა ვაწარმოოთ ხეხილის გაშენება. ნებაყოფლობით საზოგადოება „ტყის მეგობარს“ დიდი დახმარება უნდა გაუწიონ სამეცნიერო, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა.

საჭიროა, თქვა ამხ. მჟავანაძემ, ჩვენი რესპუბლიკის ყველა ქალაქი, სამრეწველო ცენტრი, სოფელი აყვავებულ ბაღად გადავაქციოთ. ეს დიდი წვლილი იქნება ბუნების გარდაქმნაში, მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.

ყრილობამ სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ საბჭოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და დაამტკიცა სარევიზიო კომისიის ანგარიში. საანგარიშო მოხსენების გამო მიღებულია ვრცელი გადაწყვეტილება.

ყრილობამ აირჩია სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ საბჭოს ახალი შემადგენლობა 67 კაცის რაოდენობით. სარევიზიო კომისიაში არჩეულია 7 კაცი.

* * *

შედგა სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ საბჭოს ახალი შემადგენლობის პირველი სხდომა, რომელმაც აირჩია საბჭოს პრეზიდიუმი. საბჭოს პრეზიდიუმში არჩეული არიან ამხანაგები მ. დ. ჩუბინიძე, კ. ს. ციმაკურიძე, ვ. ზ. გულისაშვილი, თ. ა. ნატროშვილი, მ. მ. ლელაშვილი, ნ. ნ. კეცხოველი, გ. ა. ალავიძე, გ. ი. შარაშიძე, ა. ე. მელაძე, ი. ი. ჩოდრიშვილი, ი. ნ. ლალიძე.

სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. დ. ჩუბინიძე, პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან ამხანაგები კ. ს. ციმაკურიძე, ვ. ზ. გულისაშვილი, თ. ა. ნატროშვილი (საქდესი).

სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ მესამე ყრილობის დელეგატები (მარცხნიდან მარჯვნივ): ახალქალაქის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის გამგე ა. კაროიანი, ხიდნაღის რაიონის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ თავმჯდომარე ს. კოკოლიშვილი, ქიათურელი მაღაროელი, მადნის ამწმენდი ტ. ფოფხაძე, გორის რაიონის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. ყირიმელი, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. ჩხაიძე, გორის რაიონის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი გ. ქოქაშვილი, „საქწიგნის“ ქუთაისის განყოფილების საქონელმცოდნე ნ. შვანგირაძე, გაგრის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. ერქვანია, მახარაძის რაიონის ვაკიჯვრის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ა. სიამაშვილი.

მეექვსე მსოფლიო ფესტივალის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაქალაქის თითქმის ყოველ კუთხეს, მის ცენტრალურ მაგისტრალებს, მოედნებს, პარკებს, სახპორტო ბაზებს საზეიმო იერი გადაჰკრავს, ყველგან საფესტივალო განწყობილებაა.

მშვიდობისა და მეგობრობის ბურჯი, პროგრესული კაცობრიობის გული — მოსკოვი დღითიდღე ლამაზდება, კიდევ უფრო მიმზიდველი ხდება.

საზეიმოდ არის მორთული რკინიგზის სადგურები, აეროდრომები. აქ ყოველდღე ნახავთ მეგობრულ, ამაღელვებელ შეხვედრებს — სტუმართმოყვარე მოსკოვი სტუმრებს იღებს. ამ დღეებში დედაქალაქში ჩამოვიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ინდონეზიის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების დელეგაციები, ახალგაზრდები, სტუდენტები.

სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობის კეთილშობილური მისწრაფება მშვიდობისა და მეგობრობისაკენ აქ, მოსკოვში კიდევ უფრო მკაფიო გამოხატულებას პოულობს. სტუმრებსა და მოსკოველ ახალგაზრდებს შორის იმართება მეგობრული საუბრები. ისინი ერთმანეთს აცნობენ თავიანთი ქვეყნის ცხოვრებას, ახალგაზრდობის მდგომარეობას, ლაპარაკობენ იმაზე, თუ რამდენად სასიცოცხლოდ სჭირდება მსოფლიოს მშვიდობა, მეგობრობა.

ამაღელვებელი იყო შეხვედრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებთან — სხვადასხვა პროფესიის ახალგაზრდებთან, ჭაბუკებთან და ქალიშვილებთან, სტუდენტებთან.

ამ შეხვედრაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდობის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილემ ჯოუ ვეი-შიმ თქვა:

— ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო! ჩვენი ახალგაზრდობა დიდი ხანია ოცნებობს მოსკოვზე. დღეს ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს, როდესაც თქვენთან ერთად აქ, ამ დიად ქალაქში ვიმყოფებით. სიტყვით ძნელია ასახო ის მეგობრობა, რომელიც სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდობას შორის დამკვიდრდა. ჩვენ ნამდვილი, გულწრფელი მეგობრები ვართ. თვალისჩინივით ვუფრთხილდებით ამ მეგობრობას. პირობას ვიძლევით, რომ იგი სამარადისო იქნება. ეჯვსგარეშეა მოსკოვში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეექვსე მსოფლიო ფესტივალზე ჩვენ ახალ მეგობრებს შევიძენთ, ვისწავლით მათგან, გადავცემთ ჩვენს გამოცდილებას. დაე მარად ცოცხლობდეს მსოფლიო ახალგაზრდობის მტკიცე მეგობრობა, ურთიერთგაგება, მშვიდობა.

შეხვედრათა ზეიმო ცერემონიალებს ახალი შეხვედრები მოსდევს. ამ შეხვედრებზე თვალში ვგხვდებათ გულითადობა, ხალასი მეგობრობა, ახალგაზრდობის სისხლხორცეული საქმისათვის — მშვიდობისათვის ბრძოლის სულისკვეთება.

მოსკოვი — მშვიდობის ბურჯი და მედროშე... მის ღირსშესანიშნავ ადგილებზე ამაყად ფრიალებენ ფესტივალის მონაწილე 140 ქვეყნის ალმები. ყველგან არის ლოზუნგები — გაუმარჯოს მსოფლიო ახალგაზრდობის მეგობრობას!

რაოდენ დიდია ამ მეგობრობის ძალა, მშვიდობიანი თანაარსებობის, მშვიდობის ძალა!

ზეიმის დღეებში

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეექვსე მსოფლიო ფესტივალის პროგრამა საინტერესო ღონისძიებებს მოიცავს. იგი მეტად გაშლილი და ფართოა. ცხადია, ამ მრავალფეროვან და მიმზიდველ სანახაობათა ერთდროულად გაცნობა შეუძლებელია და წარმოუდგენელიც. ძირითადად წამყვანი ადგილი ფესტივალზე დათმობილი იქნება მასობრივ ღონისძიებებს, რომლებშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა ქვეყნის წარმომადგენლებს. ამ მასობრივ ღონისძიებათა შორის შეგვიძლია დავასახელოთ დემონსტრაციები, მიძღვნილი მშვიდობისა და მეგობრობისადმი, კოლონიური ქვეყნების ახალგაზრდობის სოლიდარობის საღამო, დღესასწაულები, მიძღვნილი ქალიშვილებისადმი, მუშა და სოფლის ახალგაზრდობისადმი, მეგობრობის პარკის გაშენება, სტუდენტთა და საერთო კარნავალები, დღესასწაული მდინარე მოსკოვზე, საცირკო კავალკადა, ბალი კრემლში და სხვ.

მოეწყობა სხვადასხვა დელეგაციების შეხვედრები, გასაუბრება მათთვის საინტერესო საკითხებზე, თავისუფალი დისკუსიები, ერთნაირი პროფესიის ახალგაზრდობის შეხვედრები და სხვ.

გასული ფესტივალების მსგავსად გაიმართება აგრეთვე საღამოები, მიძღვნილი მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილი ადამიანების ხსოვნისადმი. ფესტივალის დღეებში ნაჩვენები იქნება მოსკოვის საუკეთესო თეატრების სპექტაკლები, მათ შორის დიდი თეატრის ბალეტი. ხელოვნების სხვადასხვა დარგის საუკეთესო წარმომადგენლებს მოელიან ინგლისიდან, ფინეთიდან, ეგვიპტიდან, ნორვეგიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

ფესტივალის ღონისძიებათა შორის დიდი ადგილი აქვს დათმობილი მხატვრულ და სასპორტო ღონისძიებებს. ზეიმის დღეებში 40-ზე მეტი დელეგაცია გამართავს საზეიმო ეროვნულ კონცერტებს. ყოველდღე გაიმართება აგრეთვე 15 საერთაშორისო კონცერტი, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ხელოვნებისა და კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები.

ჩვენი ქვეყნის 3.000 ახალგაზრდა მიიღებს მონაწილეობას მეექვსე მსოფლიო ფესტივალში. ესენი არიან მხატვრულ კონკურსებში, სპორტულ ასპარეზობებში გამარჯვებულნი, აგრეთვე წარმოებისა და სოფლის ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები.

გარდა ამისა, თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა თავის მხრივ გაგზავნის ფესტივალზე დელეგაციას. ზეიმის დღეებში მოსკოვში ჩამოვა 60.000-ზე მეტი ტურისტი. ფესტივალის გახსნის დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე 15 მოძმე რესპუბლიკის 2.500 წარმომადგენლის მონაწილეობით ნაჩვენები იქნება საინტერესო პროგრამა — ცეკვა.

ვ. გაგელია,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

* * *

ამ დღეებში სპეციალური მატარებლით მოსკოვში ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჭაბუკთა და ქალიშვილთა დელეგაცია ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალზე. იაროსლავლის ვაგზალზე გაიმართა ჩინეთის ახალგაზრდობის წარმოგზავნილთა საზეიმო შეხვედრა. **სურათზე:** შეხვედრა ბაქანზე.

ფოტო ე. ევზერიხინისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

ფესტივალის საპატიო სტუმრები

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო მოსამზადებელმა კომიტეტმა 400-ზე მეტი მოწვევა გაუგზავნა სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ თვალსაჩინო საზოგადო, პოლიტიკურ და კულტურულ მოღვაწეს, რომ დაესწრონ ახალგაზრდობის დღესასწაულს მოსკოვში. ბევრი მათგანისაგან მიღებულია თანხმობა.

მოსკოვში საპატიო სტუმრებად უკვე ჩამოვიდნენ: მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს წევრი ცნობილი ბრაზილიელი მწერალი ჟორჟი ამადუ, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრი ხან სერ ია, იტალიის პარლამენტის დეპუტატი კარლო კაპონი-ბენტივეგნა, ინდოეთის ეუფრასის „ეკონომიკ რევიუს“ რედაქტორი ჰარშ დეო მალავია, ცნობილი გერმანელი გამომცემელი, ფესტივალის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის წევრი ერნსტ როვალტი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), პოპულარული არგენტინელი მსახიობი ინდა როდრიგეს სალაზარი და სხვ. (საკდესი).

აგიტატორის დახმარებით

ხაშურის სავაგონო დეპოს ტექნიკური გასინჯვის პუნქტის მეორე ცვლის ოსტატი გ. ბურნაძე რამდენიმე წელია წარმატებით ასრულებს აგიტატორის საპატიო მოვალეობას. იგი იბრძვის ნაკლოვანებების დროულად გამოსწორებისათვის, რაზმავს მუშებს საწარმოს წინაშე მდგომი ამოცანების გადასაჭრელად.

წინათ ზეინკალი ვ. აბესაძე სისტემატურად არღვევდა შრომის დისციპლინას, სამუშაოზე ნასვამი გამოდიოდა და, ცხადია, უხარისხოდ მუშაობდა. აგიტატორმა შეკრიბა მუშები და ესაუბრა შრომის დისციპლინის საკითხებზე. აბესაძის მაგალითით აჩვენა მუშებს, თუ რა მდგომარეობამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი ლოთობამ. სიტყვა აიღო გ. აბესაძემ. მან სამართლიანად ცნო მის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და პირობა დადო, რომ გამოსწორდებოდა. მან თავისი სიტყვა შეასრულა.

ახლა იგი ერთ-ერთი დისციპლინიანი და მოწინავე მუშაა, პირველხარისხოვან პროდუქციას უშვებს.

აგიტატორი სისტემატურად ზრუნავს დეპოს მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, იმისათვის, რომ გამოშვებული პროდუქცია მაღალი ხარისხისა იყოს. ამხ. ბურნაძის მახვილ თვალს არ გამორჩა ის ფაქტი, რომ დეპოს მუშები გ. გუგბერიძე და პ. ლომიძე ბეჯითად არ მუშაობდნენ თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. აგიტატორი რამდენჯერმე ესაუბრა მათ, ცოცხალი მაგალითებით დაუმტკიცა, რამდენად უფრო ადვილია ამა თუ იმ სამუშაოს შესრულება, როცა პროფესიას კარგად ხარ დაუფლებული. ამავე დროს პირადადაც დაეხმარა მათ. ამხ. გუგბერიძე და ლომიძე თანდათან დაინტერესდნენ, შეუდგნენ კვალიფიკაციის შესწავლას და ახლა დეპოს ძველ, გამოცდილ ზეინკლებსაც არ ჩამოუვარდებიან.

კარგად მოწყობილი საგიტაციო-მასობრივი მუშაობითაც აიხსნება, რომ დეპოს ცვლებს შორის გაჩაღებულ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ცვლა ორი თვეა პირველობას ინარჩუნებს. ცვლის ვაგონების გამსინჯველებმა ნ. ინდოეთაშვილმა, ე. ფცქიალაძემ, ზეინკლებმა დ. ტურაშვილმა, ვ. გელაშვილმა, ო. ახალკაცმა შრომის პროგრესული მეთოდების გამოყენებით ვაგონების გასინჯვისა და შეკეთების დრო 12 წუთით შეამცირეს, გაუმჯობესეს შეკეთების ხარისხი.

ტექნიკური გასინჯვის პუნქტის მუშაკები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესონ მუშაობის ხარისხი, მაღალი მაჩვენებლებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

ტ. ფილოსანი,
ხაშურის სავაგონო დეპოს ტექნიკური ბიუროს უფროსი ინჟინერი.

შრომადღეზე ავანსად 20 მანეთი

ოჩამჩირე. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ ჭლოუს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელიც ერთ-ერთი მოწინავე სასოფლო-სამეურნეო არტელია აფხაზეთში, უკვე ორჯერ შეაჯამეს წლის დასაწყისიდან გამომუშავებული შრომადღეები და კოლმეურნეებს თვითეულ შრომადღეზე ავანსად მისცეს ოც-ოცი მანეთი. სულ დარიგდა 400 ათას მანეთზე მეტი.

ზოგიერთი კოლმეურნის ოჯახმა და ცალკეულმა კოლმეურნეებმა გამომუშავებულ შრომადღეებზე დიდძალი თუღი მიიღეს. ასე, მაგალითად, მოწინავე კოლმეურნის რაჟდენ აკაბას ოჯახმა წლის დასაწყისიდან გამომუშავებული შრომადღეების საფასურად მარტო ავანსად მიიღო 25 ათასი მანეთი, კოლმეურნე კირილე გოგოხიას ოჯახმა 24 ათასი მანეთი, კოლმეურნე ტ. ავიძბას ოჯახმა 22 ათასი და სხვ.

მესტიის რაიონში

რაიონული ცენტრის კეთილმოწყობა

სულ უფრო ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება რაიონული ცენტრი მესტია. ქუჩებზე დაიგო 13.500 კვადრატული მეტრი ასფალტი, წლის ბოლომდე დაგებული იქნება 10.000 კვადრატული მეტრი. დამთავრდა რაიისაბჭოს აღმასკომის შენობის მშენებლობა, სასტუმროსა და აბანოს გაუკეთდა რეკონსტრუქცია. წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა ორსართულიანი ადმინისტრაციული სახლი. რაიონის ცენტრის ბაღებსა და ქუჩებში დაირგო ასობით წიწვიანი და ფოთლოვანი მცენარეები.

სკოლების მშენებლობა

თელაველთა მოწოდებას ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მომზადების შესახებ ფართოდ გამოეხმაურნენ რაიონის მშრომელები. რაიონის ცენტრში შენდება საშუალო სკოლის სამსართულიანი შენობა 450 მოსწავლისათვის. მის მშენებლობაზე 1.800.000 მანეთი დაიხარჯება. სოფლებში ხაიშსა და ჭუბერში შენდება საშუალო სკოლების ორი ახალი შენობა.

რაიონულ ბიბლიოთეკაში

რაიონული ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი 11 ათას ცალს აღემატება. მარტო წელს აქ შეიძინეს 585 ცალი ახალი წიგნი. მკითხველთათვის გამოწერილია 40 სახელწოდების სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები. ბიბლიოთეკას ბევრი მკითხველი ჰყავს. მუდმივ აღრიცხვაზეა 1.000-მდე მკითხველი. აქ ჩამოყალიბებულია ლიტერატურისა და წიგნის მეგობართა წრეები, რეგულარულად ეწყობა მხატვრული საღამოები.

კოლმეურნეობის ახალი კანტორა

მაღალმთიან სოფელ კალაში ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ ააშენა ორსართულიანი ლამაზი შენობა. შენობის ზედა სართულზე მოთავსდა კოლმეურნეობის კანტორა, ქვედა სართული განკუთვნილია 250-ადგილიანი კლუბისათვის.

(საკ. კორ.).

გაიხსნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის მე-14 სესია

24 ივლისს მოსკოვში მუშაობა დაიწყო პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის მე-14 სესიამ.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარემ ჯუზეპე დი ვიტორიომ, რომელმაც გახსნა ფედერაციის სესიის სხდომა, შესავალ სიტყვაში ხაზი გაუსვა ამჟამად მოწვეული აღმასრულებელი კომიტეტის მნიშვნელობას. კომიტეტი შეიკრიბა, რათა განიხილოს პროფკავშირთა IV მსოფლიო კონგრესისათვის მზადებასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხები.

— მომავალი კონგრესი, — განაცხადა დი ვიტორიომ, — რომელზეც მოწვეული არიან სულ სხვადასხვა მიმართულების პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ერთხელ კიდევ გაუსვამს ხაზს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის ხასიათს, რომელმაც თავის დროშას წაიწერა პროფკავშირული ერთიანობისათვის ბრძოლის ლოზუნგი.

აღმასკომ-ს მე-14 სესიის მოწვევა ამჟამად მოსკოვში, თქვა შემდეგ დი ვიტორიომ, დაემთხვა საერთაშორისო მნიშვნელობის დიდ მოვლენას — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI ფესტივალს. ჩვენ მხურვალე სალამს ვუძღვნით ხალხთა შორის მშვიდობისა და ძმობის სიმბოლოს — ფესტივალის მონაწილეებს, რომელნიც მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქში შეიკრიბნენ.

სესიაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვ. გრიშინმა.

ვ. ვ. გრიშინმა სესიას აცნობა, რომ საბჭოთა პროფკავშირები ემზადებიან პროფკავშირთა IV მსოფლიო კონგრესისათვის და ამავე დროს მუშაობენ, რათა მოაწყონ საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა 50 წლისთავის დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის სესიაზე ჩამოსული უცხოეთის პროფკავშირთა მოღვაწეები; ვ. ვ. გრიშინმა რწმენა გამოთქვა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის მუშაობა და პროფკავშირთა მომავალი მსოფლიო კონგრესი ახალი წვლილი იქნება მშვიდობისათვის და მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეში.

დღის წესრიგის პირველ პუნქტზე — „პროფკავშირთა IV მსოფლიო კონგრესის დღის წესრიგის პირველი პუნქტის შესახებ მოხსენების გეგმისა და საერთო ხასიათის იდეების განხილვა“ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლუი საიანმა.

ლუი საიანის სიტყვის შემდეგ დაიწყო კამათი. პირველი გამოვიდა ლათინური ამერიკის მშრომელთა კონფედერაციის თავმჯდომარე ლომბარდო ტოლედანო, რომელიც შეეხო ამერიკის კონტინენტზე პროფკავშირული მოძრაობის მთელ რიგ ახალ ფაქტორებს.

საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა बेनუა ფრაშონმა, თავისი სიტყვა მიუძღვნა პროფკავშირული ერთიანობისათვის ბრძოლის საკითხებს. (საკდესი).

გააფთრებული ბრძოლები ალჟირში

პარიზი, 24 ივლისი. (საკდესი). როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, ალჟირში გააფთრებული ბრძოლები გრძელდება. გუშინ 50 კილომეტრზე ქალაქ ბატნის სამხრეთ-დასავლეთით რამდენიმე საათს გაგრძელდა ბრძოლა საფრანგეთის ჯარებსა და ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებს შორის. ოფიციალური ცნობის თანახმად, ალჟირელთა შორის 80 მოკლულია. ფრანგების დანაკლისს არ იუწყებიან.

გააფთრებული შეტაკებები ხდება ალჟირის სხვა რაიონებშიც. კონსტანტინის დეპარტამენტში ფრანგთა სამხედრო ავტომანქანა ნაღმს წააწყდა; მანქანაში მყოფი რამდენიმე ჯარისკაცი დაიღუპა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დაღესის განცხადება განიარაღების საკითხზე

ვაშინგტონი, 23 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა დღეს წარმოთქვა სიტყვა, რომელიც რადიოთი და ტელევიზიით გადასცეს მთელ ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი სიტყვაში შეეხო ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას განიარაღების შესახებ ლონდონის მოლაპარაკებაზე.

დალესმა განაცხადა, რომ, აწარმოებენ რა მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატები ამ ტერმინით გულისხმობენ არა „ამერიკის შეერთებული შტატების ან საბჭოთა კავშირის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს განიარაღებას“, არამედ მხოლოდ „შეიარაღებული თავდასხმის საფრთხის შემცირებას“. აღნიშნა რა, რომ გამალებული ატომური შეიარაღება ისე ძვირად ჯდება, რომ ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაუძლებს ამ ტვირთს, რომ საფრთხე არ შეუქმნას თავის ეკონომიკას, და რომ ამ შეიარაღების საყოველთაო ომში გამოყენება უდიდეს ნგრევას გამოიწვევდა, დალესმა „გამოთქვა იმედი“, რომ შესაძლებელია ამ საფრთხის თავიდან აცილება.

ქება-დიდება შეასხა რა ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც მან თქვა, სამშვიდობო პოლიტიკას, რომლის ყველაზე მკაფიო გამოვლინება, მისი აზრით, არის სამხედრო ბლოკების შექმნა, ამასთან მთელი რიგი გამოხდომები დაუშვა საბჭოთა კავშირის მიმართ, დალესი ამტკიცებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები განიარაღების საკითხში თითქოს მშვიდობიან და რეალისტურ პოლიტიკას ახორციელებენ.

განაცხადა რა, რომ ამ უკანასკნელ ხანს ატმოსფერო ლონდონის მოლაპარაკებაზე რამდენადმე გაუმჯობესდა იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა დელეგაციამ შეიცვალა პოზიცია „მეტი რეალიზმისაკენ“, დალესმა კვლავ დაუკავშირა განიარაღების საკითხების გადაჭრა ისეთ პრობლემებს, როგორიც არის „დასავლეთ ევროპის უშიშროება“ და გერმანიის გაერთიანება დასავლეთის პირობებზე.

რაც შეეხება ამერიკის წინადადებებს, განაგრძო დალესმა, ისინი ემყარებიან იმას, რომ „პრაქტიკული არ არის“ დაყრდნობა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაპირებაზე, უარისთქმა ამჟამად ატომგულის იარაღის გამოყენებაზე, „რაღაც ფორმულის გამოგონება, რომელიც ზუსტად გაზომავდა, ერთი მხრივ, საბჭოთა ბლოკის და, მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მოკავშირეების სამხედრო ძლიერებას“. ამერიკის წინადადებათა გამო დალესმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სთავაზობენ საბჭოთა კავშირს შეუერთდეს საჰაერო და სახმელეთო ინსპექციის საათანადო სისტემას, რომელიც მოიცავდა ამერიკის შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიას ჩრდილოეთ ამერიკაში, საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ინსპექციის სანაცვლოდ. გარდა ამისა, განაცხადა დალესმა, ჩვენ მტკიცე კონტაქტი გვაქვს დამყარებული კანადის მთავრობასთან კანადის ტერიტორიის ჩრდილოეთ ამერიკის ინსპექციის ზონაში მოქცევის საკითხზე. ჩვენ, განაცხადა დალესმა, მზად ვართ განვიხილოთ აგრეთვე ინსპექციის უფრო შეზღუდული ზონის შექმნის საკითხი, როგორც მაგალითად, ჩრდილოეთში ან ევროპაში, ზონისა, რომლის თანდათანობით გაფართოება შესაძლებელი იქნება.

დალესმა შემდეგ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებანი ითვალისწინებენ, რომ გარკვეული თარიღის შემდეგ ყველა სახელმწიფო უარს იტყვის ხელუჩადი მასალების წარმოებაზე სამხედრო მიზნებისათვის, ატომგულის იარაღის არსებული მარაგი თანდათანობით გადაცემულ იქნება სამშვიდობო მიზნებისათვის გამოსაყენებლად. დალესმა გაიმეორა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკულად ასეთი ვადა ატომგულის გამოცდის რაიმე შეწყვეტას კი არ ნიშნავს, არამედ წარმოადგენს გამოცდის გარდუვალ დროებითს შეწყვეტას, რომელიც არ იწვევს ატომგულის წარმოების მუშაობის რაიმე შეჩერებას.

დასასრულ, განაცხადა დალესმა, ჩვენ მზად ვართ დავიწყოთ ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება და რეგულირება, აგრეთვე შევიმუშაოთ სხვა ქვეყნებთან ერთად სისტემა, რომელიც ამის რწმენას მოგვცემდა, რომ საკონტინენტთაშორისო სამართავ ყუმბარებს მხოლოდ და მხოლოდ სამშვიდობო და მეცნიერული მიზნებისათვის გამოიყენებენ.

როგორც სავსებით ნათელია, დალესის წინადადებანი ნავარაუდევია იმისათვის, რომ გადადოს განიარაღების დარგში ეფექტიან გადაწყვეტილებათა მიღების ვადა, ისინი განასახიერებენ საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი საკითხის სერიოზული გადაჭრის გაჭიანურების ტაქტიკას.

გაამართლა რა მოლაპარაკების გაჭიანურების ტაქტიკა, რომელსაც ამერიკის დელეგაცია ახორციელებს ლონდონის მოლაპარაკებაზე, დალესი ცდილობდა იმით აეხსნა ეს ტაქტიკა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თითქოს იძულებული არიან ამ მოლაპარაკების მსვლელობაში გაითვალისწინონ თავიანთი „პარლამენტის პროცედურები“, აგრეთვე მუდმივ ეთანხმირონ თავიანთ მოკავშირეებს.

დასავლეთ გერმანიის ხელისუფალთა თვითნებობა

ბერლინი, 24 ივლისი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფალნი ცდილობენ ჩაფუშონ დასავლეთ გერმანიის ახალგაზრდობის დელეგაციის გამგზავრება ფესტივალზე მოსკოვში. გუშინ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სადემარკაციო ხაზზე ჰალმშტედტთან დასავლეთ გერმანიის სასაზღვრო ხელისუფლებმა საშუალება არ მისცეს დასავლეთ გერმანიიდან მომავალ ახალგაზრდათა ჯგუფს განეგრძო გზა მოსკოვისაკენ. სასაზღვრო დაცვის მოხელეებმა იძულეს ახალგაზრდობა გამოსულიყო ვაგონებიდან. დელეგაციის წევრებმა პროტესტი განაცხადეს ხელისუფალთა ამ თვითნებობის წინააღმდეგ.

„ინგლისი ომანში შეიჭრა“

ლორდ სტეინსჰეიტის განცხადება ლორდთა პალატაში

ლონდონი, 23 ივლისი. (საკდესი). სიტყვა წარმოთქვა რა ლორდთა პალატაში, საგარეო საქმეთა მინისტრის სპარლამენტო მოადგილემ ლორდმა გოსფორდმა გააკეთა განცხადება ომანში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. სადაც, როგორც ცნობილია, ინგლისი სამხედრო დახმარებას უწევს მასკატის მარონეტულ სულთანს აჯანყებული ტომების ჩასახშობად.

ამის შემდეგ ლეიბორისტმა ლორდმა სტეინსჰეიტმა თქვა: „ცხადია, თუ რა მოხდა: ჩვენ შევიჭერით ომანში“. სტეინსჰეიტმა აღნიშნა, რომ ომანში უკვე მოქმედებენ ბომბდამშენები, და იკითხა: „ამტკიცებს თუ არა მთავრობა, რომ საერთაშორისო სამართლით მას უფლება აქვს. დამოუკიდებელი ქვეყნის მმართველს მიწვევით, გაგზავნოს სამხედრო ძალები, რათა ჩაქრეს აჯანყება?“.

ერთი თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი და ლორდთა პალატის ლიდერი ჰიუმი იცავდა მთავრობის პოლიტიკას ომანის ამბებთან დაკავშირებით.

გოსფორდი ამტკიცებდა, რომ ომანის ტერიტორია ჯერ კიდევ არ დაუბომბავთ.

ახალი სპექტაკლები

„ორლეანელი ქალწული“

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანმა სახელმწიფო თეატრმა 20 ივლისს მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა პ. ჩაიკოვსკის ოპერა „ორლეანელი ქალწული“. ეს სპექტაკლი გათვალისწინებულია მოსკოვში საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე საჩვენებლად.

ოპერის დადგმა განახორციელეს თეატრის მთავარმა დირიჟორმა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ო. დიმიტრიადმ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა რეჟისორმა მ. კვალიაშვილმა და თეატრის მთავარმა მხატვარმა კ. კუკულაძემ, მხატვარმა შ. ჩიქოვანმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ბალეტმეისტერმა ზ. კიკალეიშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მთავარმა ხორმეისტერმა ე. ტერიშვილმა.

მონაწილეობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლ. გოცირიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი გ. გრიგორაშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტები ბ. კრავეიშვილი და ნ. ბელაქნელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. ჩაკალიდი, სოლისტები თ. თაქთაქიშვილი, შ. კიკნაძე, თ. მუშკუდიანი, შ. თაბუკაშვილი, ნ. ჯაფარიძე, მ. მალიაროვი, ე. კუკულაძე, ა. გაგუა, საბალეტო დასის მსახიობები ნ. მაჩაიძე, მ. კრუგლოვა, ი. ფასინსკაია, ნ. ამდალაძე, ბ. მონავარდისაშვილი, გ. კუკულაძე და სხვ.

21 ივლისს ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაბითი“ თეატრმა დახურა მომდინარე სეზონი.

„ახალგაზრდა მასწავლებელი“

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანმა თეატრმა 20 და 21 ივლისს მაყურებელს განახლებული დადგმით უჩვენა გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“, რითაც დახურა სეზონი.

დადგმის ავტორები არიან რეჟისორი აკ. დვალიშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი მხატვარი ფ. ლაპაიშვილი და კომპოზიტორი რ. ლაღიძე.

როლებს ასრულებენ თ. თეთრაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. გეგეჭკორი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. დოლიძე, მსახიობები ლ. ჩხეიძე, ე. საყვარელიძე, ნ. ფალიაშვილი, ეკ. ვაჩნაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თ. ჩარკვიანი, ა. აფხაიძე, გ. კიკნაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ჩიხლაძე, მსახიობები ა. კუპრაშვილი, კ. მახარაძე, კ. საკანდელიძე, ი. ჯინჯიხაძე, ი. უჩანეიშვილი, ნ. ანდღულაძე და სხვ.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველო გარდაიქმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნა ამხ. მიხეილ გიორგის-ძე პერკუხინი, გაათავისუფლა იგი საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრად დანიშნა ამხ. ევგენიმ პაველეს-ძე სლავსკი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამხ. ე. პ. სლავსკი გაათავისუფლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ატომის ენერგიის გამოყენების მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან.

თბილისი. ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ მუშა-მოსამსახურეთა 39-ბინიანი ახალი საცხოვრებელი სახლი რიგის ქუჩაზე. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ასპარეზობენ ჭაგუკები

ქართული ჭიდაობა

დამთავრდა საქართველოს 1957 წლის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელიც თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სასპორტო დარბაზში მიმდინარეობდა.

ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ქალაქებისა და რაიონების 45 მოჭიდავემ.

ყოველი შეხვედრა დაძაბული იყო. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 98 შეხვედრიდან 52 სუფთა მოგებით დამთავრდა.

რესპუბლიკის 1957 წლის ჩემპიონები გახდნენ: უმჩატეს წონაში — ი. ბერიაშვილი (ასპი), მჩატე წონაში — გ. გვარძიშვილი (სიგარეჯო), ქვემსუბუქში — ა. პაპინაშვილი (ასპი), მსუბუქში — შ. რომელაშვილი (მცხეთა), ქვესაშუალოში — ვ. ქვეხიშვილი (სიგარეჯო), საშუალოში — ა. ოდიშვილი (თბილისი), ქვემძიმეში — ბ. ბაღაკაშვილი (მცხეთა), მძიმეში — ა. ქიბარწაშვილი (მცხეთა).

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა მცხეთის კოლექტივმა (20 საჯარიმო ქულით), მეორე — კასპის გუნდმა (21 საჯარიმო ქულით) და მესამე — თბილისის გუნდმა (24 საჯარიმო ქულით).

კლასიკური ჭიდაობა

სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს 1957 წლის პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში მოზარდთა შორის, რომელიც მოეწყო თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, წითელწყაროს, გორის და სტალინირის 100-მდე მოჭიდავე.

წონითი კატეგორიების მიხედვით რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ: უმჩატეს წონაში — ჯ. ძნელაძე (თბილისი), მჩატე წონაში — ზ. ნაცუბიძე (თბილისი), ქვემსუბუქში — ნ. ნუცუბიძე (ქუთაისი), მსუბუქში — ა. ჩიხლაძე (ქუთაისი), ქვესაშუალოში — გ. მინასიანი (თბილისი), საშუალოში — ტ. კარიჭაშვილი (თბილისი), ქვემძიმეში — შ. სხირტლაძე (თბილისი), მძიმეში — გ. ჭითავა (თბილისი).

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისის პირველი გუნდი, მეორეზე — ქუთაისი, მესამეზე — ბათუმი.

შეჯიბრების შემდეგ შერჩეულ იქნა საქართველოს ჯაბუკ მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი, იგი მონაწილეობას მიიღებს შეჯიბრებაში სსრ კავშირის 1957 წლის პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში ჯაბუკთა შორის, რომელიც გაიმართება ქ. კაუნასში 16 აგვისტოს.

ძაღლოსნურ სარბიელზე

თბილისის „დინამოს“ სასპორტო დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს 1957 წლის პირად-გუნდური პირველობა სომძიმეების აწევაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „დინამოს“, „სპარტაკის“, „ბურევესტნიკის“, „პიშჩევიკის“, „კოლმეურნის“, „ენერგიის“ და „ლოკომოტივის“ გუნდები.

შეჯიბრების პირველ დღეს წარმატება ხვდა მჩატე წონის ძალოსახს თბილისელ რ. დათიკაშვილს („კოლმეურნე“).

— ფიცარნაგზეა 120 კილოგრამიანი შტანგა, — ამბობს დიქტორი. — თუ სპორტსმენი რ. დათიკაშვილი ამ სიმძიმეს დაამორჩილებს, იგი შეასრულებს სპორტის ოსტატის ნორმას და 5 კგ-ით გაუმჯობესებს საქართველოს რეკორდს, რომელიც 1949 წელს დაამყარა მსოფლიოს ჩემპიონმა სპორტის ოსტატმა ს. ბასახურებულმა ოსტატმა რ. ჩიმოშკიანმა.

...ტანმორჩილი ჭაბუკი გაბედული ხმაჯით მიუახლოვდა შტანგას. ცოტაც, და ტაშმა იგრიალა. სიმძიმე დაძლეულია. არის ახალი რესპუბლიკური რეკორდი. აშრაგად. საქართველოს ძალოსანს რ. დათიკაშვილის სახით კიდევ ერთი სპორტის ოსტატი შეემატა.

საქართველოს 1957 წლის ჩემპიონი მჩატე წონაში რ. დათიკაშვილი.

• • •

ქვემსუბუქ წონაში პირველობისათვის ბრძოლა ძირითადად სამ სპორტსმენს შორის წარიმართა. ესენი იყვნენ სპორტის ოსტატები ხ. ხანუკაშვილი („დინამო“), ნ. ფერაძე („პიშჩევიკი“) და ა. გრიგორიანი („კოლმეურნე“). დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა ხ. ხანუკაშვილი, რომელმაც კლასიკური სამჭიდის ჯამში 330 კილოგრამი შეაგროვა.

ბუბუქ წონაში პირველობა და რესპუბლიკის 1957 წლის ჩემპიონის წოდება შედარებით იოლად მოიპოვა ახალგაზრდა სპორტის ოსტატმა ტ. წერეთელმა („ბურევესტნიკი“). ქვესაშუალო წონაში რ. გალოიანმა აჯობა გ. მიმინოშვილს („ლოკომოტივი“) და სამჭიდის ჯამში შეგროვებული 372,5 კილოგრამით პირველი ადგილი დაიკავა. საშუალო წონის ძალოსანმა შ. წერეთელმა („პიშჩევიკი“) მეოთხედ მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება.

ქვემძიმე წონაში პირველობა მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთმა უძლიერესმა ძალოსანმა კ. ებრალიძემ („დინამო“) შედეგით 395 კგ ხოლო მძიმე წონაში — ი. ქართველიშვილმა („ბურევესტნიკი“).

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ კოლექტივი, მეორეზე — „პიშჩევიკი“, მესამეზე — „კოლმეურნე“.

მ. ჭიჭინაძე.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

თბილუნივერვაჭრობის ქუდების ატელიე იღებს შეკვეთებს ქუდების გაკეთებაზე შავი ჩალის, ველურისა და ნატის ჩაჩისაგან ახალი მოდელებით.

ატელიეში მზადდება ქალის ქუდების დასაბნევი სხვადასხვა ფასონის შპილები ფერადი მძივებისაგან და ორგანული მინისაგან.

ატელიე ყოველთვე იღებს დაკვეთებს მაპაკაცის ქუდის შეკერვაზე მაღალხარისხოვანი შალის ქსოვილებისაგან.

ატელიეს მომსახურებას უწევენ მაღალი კვალიფიკაციის ოსტატები.

მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 91. შესასვლელი სადარბაზო კარიდან ეზოში.

შეკვეთები მიიღება ყოველდღე 2-დან 5 საათამდე, გარდა ორშაბათისა.

თბილუნივერვაჭრობის დირექცია.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის აღსანიშნავად აწყობს

ვოკალისტთა კონკურსს

საბჭოთა კომპოზიტორების არიებს, რომანსებისა და სიმღერების საუკეთესო შესრულებაზე.

კონკურსი გაიმართება 1957 წლის ოქტომბერში. დაწვრილებითი ცნობები აფიშებში და ფილარმონიაში (ცლეხანოვის პროსპ., 123).

ხაჭორაა

ნაყინის ყუთებზე და ურიკებზე მომუშავე გამყიდველები. ცნობებისათვის მიმართეთ მარჯანიშვილის თბილკავშირების კადრების განყოფილებას. მისამართი: ქ. თბილისი, პუშკინის ქ. № 7, მე-4 სართული. ტელეფონი № 3-98-25.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში 1957-58 სასწავლო წელს მიღების პირობები

ტექნიკუმი ამზადებს ბუხჰალტრებს, მეხილე-მებოსტნე და მემინდვრე უმცროს აგრონომებს.

ტექნიკუმთან არსებობს მემინდვრეობის დაუსწრებელი განყოფილება, რომელიც ამზადებს უმცროს მემინდვრე აგრონომებს.

სწავლის ხანგრძლივობა: მეხილეობა-მებოსტნეობის პროფილზე 2,5 წელი, საბუხჰალტრო პროფილზე 1,5 წელი, მემინდვრეობის პირველ კურსზე ჩარიცხულთათვის 4 წელი, დაუსწრებლის პირველ კურსზე ჩარიცხულთათვის 5 წელი.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი დასწრებულზე 30 წლამდე, დაუსწრებელზე განურჩევლად ასაკისა.

მემინდვრეობის დასწრებული და დაუსწრებელი პროფილის პირველ კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი. სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი მიიღებიან მეხილეობა-მებოსტნეობის მესამე კურსზე და საბუხჰალტრო პროფილის მეორე კურსზე.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებსაც არასრული საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ფრიადზე და სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი — ვერცხლის ან ოქროს მედალოსნები, მიუხედავად სკოლის დამთავრების წლისა.

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი გამოცდებს აბარებენ არასრული საშუალო სკოლის პროგრამით: მათემატიკაში (ზეპირი); რუსულ ენაში (წერა კარნახით); რუსულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი); ქართულ ენაში (ზეპირი).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი გამოცდებს აბარებენ საშუალო სკოლის პროგრამით: რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა—თხზულება); მათემატიკაში (წერა, ზეპირი); ქართულ ენაში (ზეპირი).

განცხადებები შემოტანილ უნდა იქნას ტექნიკუმის დირექტორის სახელზე და თან უნდა დაერთოს: განათლების მოწმობა (დედანი) ან მოწმობა მე-8, მე-9 და მე-10 კლასში გადასვლის შესახებ, დაბადების მოწმობა (ასლი, ნოტარიუსის მიერ შემოწმებული) ან პასპორტი ხელზე, ავტობიოგრაფია, სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომა 3×4 სმ), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა № 286, სამხედროვალდებულთათვის სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა (ადგენს პირადად), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, დახასიათება და ცნობა, ვისაც აქვს ორი წლის და მეტი საწარმოო სტაჟი.

დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსვლელნი საკალდებულოა მუშაობდნენ სოფლის მეურნეობაში.

განცხადებები მიიღება დასწრებულ განყოფილებაზე 31 ივლისამდე, დაუსწრებელზე 1 ოქტომბრიდან

მისაღები გამოცდები იწარმოებს დასწრებულ განყოფილებაზე 1-დან 20 აგვისტომდე, დაუსწრებელზე 1 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდე.

ტექნიკუმში ჩარიცხულთ მიეცემათ სტიპენდია საერთო წესით, უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, გათბობა-განათებით.

ტექნიკუმთან არსებობს მუშათა კოოპერატივის სასადილო.

მისამართი: გურჯაანის რაიონი, სოფელი ბაკურციხე. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

ბაკურციხის სახ.-სამ. ტექნიკუმის დირექცია.

დღეს

თბილისის კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, ისანი (საზამთრო), პლეხანოვის სახელობის კლუბი, კროოვის სახელობის პარკი — მებადურის ვაჟიშვილი, ამირანი (საზამთრო) — დონ-კიხოტი, ამირანი (საზაფხულო), კომკავშირელი, კოლხიდა (საზამთრო), ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზამთრო და საზაფხულო) — მე შევხვდი ქალიშვილს, ისანი (საზაფხულო) — ავარა (I და II სერია), სპარტაკი — ქუჩის სეკუნდა, თბილისი — ვენის ქალიშვილები, 26 კომისრის სახელობის (საზამთრო) — მას უყვარხართ, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — ჩრდილი გზაზე, საქართველო (წითელი დარბაზი), ვოროშილოვის სახელობის კლუბი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი — ამბავი პირველი საყვარელისა, საქართველო (მწვანე დარბაზი) — ბრძოლა ველზე, კოლხიდა (საზაფხულო) — უგზოუკვლოდ დაკარგული, გორკის სახელობის კულტურის სახლი, ოფიცერთა სახლი — ლოცვა ბედნიერებისათვის, კოლმეურნე — გაცრუებული ოცნებები.

1957 წლის 30 ივლისს ქალაქ ლენინგრადში შედგება

სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა 58-ე ტირაჟი

ამ ტირაჟში გათამაშებულ იქნება 46 მილიონ 502 ათასი მანეთის 85.000 მოგება, მათ შორის:

50.000 მანეთიანი — 20 მოგება
25.000 მანეთიანი — 50 მოგება
10.000 მანეთიანი — 250 მოგება
5.000 მანეთიანი — 800 მოგება
1.000 მანეთიანი — 7.000 მოგება
400 მანეთიანი — 76.880 მოგება

ყოველწლიურად იმართება სესხის 6 ძირითადი და ერთი დამატებითი მოგებათა ტირაჟები.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

შეიძინეთ სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები

მონაწილეობა მიიღეთ მოგებათა ტირაჟში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკredიტის სამმართველო

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის სატვირთო ტაქსომოტორული კანტორა აცხადებს, რომ ქალაქის მცხოვრებთა მომსახურებისათვის ჩამოყალიბებულია სატვირთო ტაქსომოტორული ავტოკანტორა, რომელიც მომსახურებას უწევს ქალაქის მცხოვრებთა ავტოტრანსპორტით შემდეგი ტარიფით: 1 კმ გარბენის ღირებულება — 2 მანეთი, 1 საათით ტაქსომოტორის დაკავება — 20 მანეთი.

მოქალაქენო! ისარგებლეთ სატვირთო ტაქსით.

ცნობებისათვის მიმართეთ თბილისის სატვირთო ტაქსომოტორულ კანტორას. მისამართი: თბილისი, ბრძოლის ქ. № 91. ტელეფონი 3-49-81.

ადმინისტრაცია.

მოქალაქე სიმონ ალექსის-ძე არჯევანიძემ, მცხოვრებმა ელმავალშემკეთებელი ქარხნის სახლში № 15, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მარიამ ნიკოლოზის ასულ არჯევანიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ლენინის რაიონის სახალხო სასამართლო.

საქართველოს სსრ ძინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტი იუწყება

ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე ძამაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 27-VII, 5 ს. საბჭოს ქ. № 3.

№ 1 სამშობიარო სახლის თანამშრომლები იუწყებიან

ქეთევან გიორგის ასულ ზანდუკელი-ასათიანის

გარდაცვალებას.